



# მეფე

რედაქციის სახელით

## უმაღლესი მანიფესტი.

წყალობითა ღვთისათა

ჩვენ, ნიკოლოზ მეორე,

იმპერატორი და თვით-მწყობელი სრულიად რუსეთისა,

მეფე ზოლანთისა, დიდი მთავარა ფინლანდიისა და სხვათა, და სხვათა და სხვათა.

ვუცხადებთ ყოველთა ჩვენთა ერთგულთა ქვეშევრდომთა:

29 რიცხვსა ამა მაისისას უსაყვარლესი მეუღლე ჩვენი ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული მშვიდობით განთავისუფლდა ფეხ-მძიმეობისაგან და გვიშვა ჩვენ ასული, სახელდებული ტატიანად.

მივიღებთ რა ჩვენისა საიმპერატორო სახლის ასეთს შემატებას ახალს ნიშნად იმ საღმრთო მადლისა, რომელიც გვევლინების ჩვენ და ჩვენს სახელმწიფოს, ვაუწყებთ ამ სასიხარულო შემთხვევას ერთგულთა ჩვენთა ქვეშევრდომთა და მათთან ერთად აღვავლენთ უზენაესისადმი მხურვალე ვედრებათა ახლად შობილის ბედნიერად აღზრდისა და წარმატებისათვის.

ვუბრძანებთ იწერებოდეს და ისახლებოდეს ყოველ საქმეებში, სადაც-კი ჯერ არს უსაყვარლესი ჩვენი ასული დიდი მთავრინა ტატიანა ნიკოლოზის ასული მის იმპერატორებითს უმაღლესობად.

ნაბოძებია პეტერგოფში, 29 მაისს, წელსა ქრისტეს შობიდან ათას-რვაას-ოთხმოცდა ჩვიდმეტსა, ჩვენის მეფობის კი მესამესა.


ნამდვილსა ზედა მისის (იმპერატორებითის უდიდებულესობის) ხელლით დაწერილი არს:

„ნიკოლოზი“.

უმაღლესი ბრძანება.

შესახებ აკრძალვისა ყოვლის ძვირფასის ძღვნი-სა მირთმევისა მათის იმპერატორებითის უდიდებულესობათადმი და შესახებ შეწირვისა ამ ძღვნი-სა საქველ-მოქმედო საზოგადო დაწესებულება-თა სასარგებლოდ.

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ინება ბრძანებად: საუკუნოთა მიერ განწმედილი ჩვეულება მათის იმპერატორებითს უდიდებულესობათადმი, ზოგიერთს შემთხვევებში წმიდა ხატების და პურ-მარილის მირთმევისა არ უნდა მოსპობილ იქმნეს, მაგრამ მომავალს დროში ასეთის მიძღვნის საგნები დიდის ფასისანი არ უნდა იყვნენ; ყოვლად-უქვეშევრდომი-ლესნი მიძღვნანი როგორც საზოგადოებათა და დაწესებულებათა, აგრეთვე კერძო პირთა მიერ ყოველ სხვა საგნებისა მოსპობილ იქმნენ; მხოლოდ ნება-დართულ იქმნენ, როგორც ერთად ერთის სახე ნივთიერის ტახტის კვარცხლებეკთან, შეწირულებანი თვისის შეძლებისაგან საქველ-მოქმედო და სხვა ყოველგვარ საზოგადო სასარგებლო დაწესებულებათა შინა და ამასთანავე სასარგებლოდ უმთავრესად ადგილობრითა დაწესებულებათა.



## უწმიდესის სინოდის განჩინება.

უწმიდესის სინოდის განჩინებით: 2-13 მაისი-  
დამ 1897 წ. მე 1468 ნომრით, დადგენილ არს:  
ეუწყოს ცირკულიარულად ყოველს ეპარქიებში, რომ  
საეპარქიო სასაწავლებლო საბჭოის სამაზრო განყოფი-  
ლებების თავმჯდომარეს ერთსა და იმავე დროს არ  
შეუძლია იყოს ხაზინადრად და ან საქმის მწარმო-  
ებლად ამავე განყოფილებისა.

## უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის ბრძანება:

უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის ბრძა-  
ნებასამებრ, 29 მაისიდან 1897 წ., ქუთაისის სას.  
სემენარიში განწესებულ არს კიევის სასულიერო  
აკადემიის კანდიდატი დიმიტრი ჯეგუძევი საბიბლიო,  
მსოფლიო საეკლესიო ისტორიის და რუსეთის ეკ-  
კლესიის ისტორიის მასწავლებლის ადგილს.

იმ გადასახადის მოსპობის შესახებ, რომელსაც  
იდებდნენ ხაზინის სასარგებლოდ სხვა და სხვა  
აღაგს ცხოვრების ნებართვის მოწმობათაგან.

სახელმწიფო საბჭომ, სჯულის, სახელმწიფო ეკო-  
ნომიის და სამოქალაქო და სასულიერო საქმეთა  
შეერთებულს დეპარტამენტებში და საზოგადო კრე-  
ბაზედ, განიხილა წარდგენილება ფინანსთა მინისტრი-  
სა იმ გადასახადის მოსპობის შესახებ, რომელსაც  
იღებენ ხაზინის სასარგებლოდ სხვა და სხვა აღაგს  
ცხოვრების ნებართვის მოწმობათაგან და თვისი  
ჭაზრით დაადგინა:

ა. ყველა ის საპასპორტო საბუთები და მოწმო-  
ბანი, რომელიც ეძლევიან სახელმწიფოში, გარდა  
პოლონეთის სამეფოს გუბერნიებისა, რუსეთის ქვე-  
შევრდომებს, სახელდობრ: საპასპორტო წიგნაკები,  
პასპორტები, საბეგრო პასპორტები, წერილობითი  
მოწმობანი, ბილეთები, დროებითი მოწმობანი  
პიროვნების შესახებ, და აგრეთვე ხსენებული საბუ-  
თების ვადის გაგრძელების წერილები, გათავისუფლე-  
ბულ იქმნენ ხაზინის სასარგებლო როგორც საპას-  
პორტო, აგრეთვე საბეგრო გადასახადისაგან.

ბ. დაწესებული დებულების მიერ პასპორტები  
სასამთევო და საექსტევო და უფასო ბილეთები და  
აგრეთვე საერთოვეო და საორთვეო ბილეთები (39  
სტატია ამ დებულებისა), რომელთაც ლერბის ხარჯი  
ხდებოდათ, და სანახევარწლო საბეგრო პასპორტები,  
მოსპობილ იქმნენ.

გ. საპასპორტო წიგნაკებისაგან აღებულ იქმნეს  
ხაზინის სასარგებლოდ მათი დასამზადებელი ფასი,  
15 კაპეკი თითოეულის წიგნისაგან; იმ პირთ, რომ-  
ელთაც უფლება აქვსთ უვადო უფასო ბილეთების  
მიღებისა, მიეცესთ უვადო საპასპორტო წიგნაკები,  
გადაუხდევინებლად ხსენებულის დასამზადებლის ფასი-  
სა.

მისმა იმპერატორებითი უდიდებულესობამ 7  
აპრილს 1897 წელსა უმაღლესად ინება დამტკიცე-  
ბა სახელმწიფო საბჭოის ხსენებულის ჰაზრისა და  
ბძანა მისი აღსრულება („მმართველობის უწყ.“  
1897 წ. № 103).



# უწმიდეს სინოდთან არსებული სახაზინო სამ- მართკუთხედისაგან.

თხოვნებისა გამო ეკლესიების კრებულთა რამ მათ  
დაენიშნოსთ ანუ მოემატოსთ ჯამაგირები.

1895 წლის საეკლესიო უწყებათა მე-№ 45-ში უწმიდეს სინოდთან არსებულ სახაზინო სამმართველოისგან ვრცლად განმარტებული იყო, რომ არავითარი მნიშვნელობა არ ეძლეათ იმ თხოვნებს, რომელნიც შეაქვსთ უწმიდეს სინოდში საეკლესიო კრებულთ თავიანთ ეპარქიალურ მთავრობის გარეშე, რომ მათ ხაზინიდან მალე დაენიშნოსთ ან მოემატოსთ ჯამაგირი. მიუხედავად ამა განმარტებისა, მრავალ კრებულთ და ცალკე კრებულთა რომელიმე წევრთ (თავისთავად ანუ სხვა პირთა შემწეობით) შემოაქვსთ თხოვნები პირდაპირ სინოდში ანუ სინოდის ობერ-პროკურორის სახელობაზე, რომ, რაც შეიძლება, მალე გაუმჯობესებულ იქმნეს მათი ნივთიერი მდგომარეობა. ყველა ამ გვარი თხოვნები დღემდის ეგზავნებოდათ ეპარქიის მღვდელთ-მთავრებს, რომ მათ თავიანთი აზრი მოეხსენებიათ ამ თხოვნების შესახებ, და ბევრი თხოვნები მღვდელთ-მთავრების მოხსენებით უყურადღებოთ რჩებოდენ და ეს კიდევ ეცნობებოდათ ხოლმე კრებულთ, რომელნიც გერბის მარკებს აგზავნიდენ პასუხისათვის. ზოგიერთი მღვდელ-მთავრები, მიუხედავად ხსენებულ თხოვნებში ნაჩვენებ გარემოებათა, პირდაპირ უთითებდენ უწმიდეს სინოდში ეპარქიებიდგან უკვე წარდგენილ უწყებებზე კრებულთა ნივთიერი მდგომარეობის შესახებ და ამასთან მხოლოდ უჩვენებენ ჯამაგირების დანიშვნის იმ წესზე, რომელიც ნაჩვენები იყო იმავე სიებში ხსენებულ მთხოვნელთა შესახებ. საბოლოოდ დადგენილია წესი, თუ როგორ გააუმჯობესონ კრებულთა ნივთიერი მდგომარეობა და ამიტომ ყოველივე ეს მიწერ-მოწერა დიდათ აბრკოლებს უიმი-სოთაც ვრცელ საქმის წარმოებას სამღვდლოებისათვის ჯამაგირების დანიშვნისას, ხოლო თვით ამ საქმეში დაინტერესებულ კრებულთათვის ეს შეადგენს დროების უსარგებლოდ დაკარგვას და მასთან მოითხოვს მათგან უსარგებლო ხარჯს გერბის მარკების გადასახდელად.

უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორმა უკვე შენიშნა ასეთი მდგომარეობის არასანატრელი მხარე და ამიტომ სახაზინო სამმართველო მისი მაღალ აღმატებულების ბრძანებით, ხელახლად მიაქცევს კრებულთა განსაკუთრებულ ყურადღებას 1895 წელს „საეკლესიო უწყებათა მე-№ 45-ში დაბეჭდილ განმარტებათა, რომელთა დედა აზრი შემდეგია:

1) კრებულნი თავიანთი თხოვნებით, რომ გაუმჯობესებულ იქმნეს მათი ნივთიერი მდგომარეობა ხაზინიდან ჯამაგირის ანუ სხვა რაიმე შემწეობის დანიშვნით, უნდა მიიქცნენ თავიანთ ეპარქიალურ მთავრობათადმი.

2) ამ წინა მუხლში მოხსენებულ საგნების შესახებ თხოვნების შეტანა კრებულთაგან პირ-და-პირ უწმ. სინოდში ანუ სინოდის ობერ-პროკურორის სახელზე ჩაითვლება დადგენილ წესთა დამარღვევლად და გამოიწვევს ფუტკ მიწერ-მოწერას და დროს დაკარგვას, რომელიც საქმისათვის სრულიად უსარგებლოა.

3) წესი, რომლის ძალით თან-და-თანობით ინიშნება ხაზინიდან ფულები ქალაქის და სოფლის სამღვდლოების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ნებას არ იძლევა, რომ ერთსა და იგივე დროს მთელს იმპერიაში ყველა კრებულს დაენიშნოს ჯამაგირი, და ამიტომ, როგორც რიგია, ჯამაგირი ენიშნება პირველად უფლარბებს კრებულთ, თანახმად ადგილობრით ეპარქიალური მთავრობის ჩვენებისა.

ამის გამო კრებულთ ეცნობებათ, რომ ყველა მათი თხოვნების შესახებ, რომელნიც პირ-და-პირ შეტანილნი იქნებიან უწმ. სინოდში, ჯამაგირების დანიშვნის შესახებ არავითარი მიწერ-მოწერა არ გაიმართება ეპარქიის მღვდელ-მთავრებთან და ყველა ასეთი თხოვნები დარჩებიან სრულიად განუხილავად.

ბეჭდავს რა ამ განცხადებას, სახაზინო სამმართველო უმოკრიხლესი თხოვნით მიიქცევს სასულიერო კონსისტორიებისადმი, რომ ეს განცხადება მომეტებულად გავრცელდეს კრებულთა შორის და ამიტომ დაბეჭდილ იქნეს იგი ანუ „ეპარქიალურ უწყებებში“, ანუ სხვა წესით, რომელიც ადგილობრით პირობათა, ანუ ეპარქიის მთავრობათა მიხედვით უფრო საადვილო იქნება.



პენსიის დანიშნება

უწმიდესის სინოდის ბრძანებით 7 თიბათვიდამ 1897 წლ. მე-293 ნომრით დაენიშნათ ჰენსია: იმერეთის ეპარქიის, ქუთაისის მაზრის ფრიდონიანთ-ჯისაძის ეკკლესიის შტატ-გარეშე მეოფს მღვდელს ლუკა ჩოძანიძეს, 130 მანეთი წელიწადში, 12 ღვინობისთვიდამ 1894 წ. ქუთაისის სამაზრო ხაზინიდან, და საღვთისმეტყველების ეპისკოპოსის მღვდლის თეოდორე უიფშიძის ქვრივს მაგდალინას მცირე წლოვანის მით ილიათურთ დასამატებლად იმ ჰენსიისა, რომელიც მას დაენიშნა სინოდალურის განჩინებით 1/8 მარტიდამ 1896 წლ. მე-781 ნომრით წელიურად 65 მ. 23 თიბათვიდამ 1895 წ. თბილისის საგუბერნიო ხაზინიდან, 25 მან. მისის მცირე წლოვანის შვილისთვის, სანამ ამ შვილს კანონი ჰენსიის მიღების უფლებას აძლევს.

თბილისის სასულიერო სემინარიის სამმართველო ამით აცხადებს, რომ იმ ქვემოთ-მოხსენებულ მოწაფეთაგანებს, რომელნიც ოცს მარიაშობის თვემდის 1897 წლისა, არ შემოიტანენ მათხედ დარჩენილს და ქვემოთ აღნიშნულს სემინარიის პანსიონში შესანახს ფულსა და 50 მანეთსაც მომავალის სასწავლო 1897/8 წლის პირველის მესამედის განმავლობაში შესანახ ხარჯად, სრულიად არ შეუშვებენ სემინარიაში; ამასთანავე სამმართველო საჭიროდ სთვლის წინდაწინ აცნობოს მოწაფეებს, რომ მათი შეშვება სემინარიის პანსიონში 19 მარიაშობის თვემდის არ შეიძლება; რომელიც მოწაფეც კი შინიდან დაბრუნდება, სემინარიაში შესვლის განსაკუთრებული ნებართვა ინსპექტორის მორიგი თანაშემწისაგან უნდა აიღოს.

სახელება და გვარები იმ მოწაფეებისა, რომლებმაც დაენიშნა დარჩენილი (ფულს და რაოდენობას ჩვენებითურთ:)

მესამე კლასი: კვაჭაძე ალექსი—100 მან; კვაჭაძე მიხეილი—140 მან; კვიციანიშვილი ავთანდილი—60 მან; დედარაიანი სეითი—90 მან; მეოთხე კლასი: ციციანიშვილი პლატონი—100 მან; მჭედლიშვილი სამსონი—10 მან; ქელბაქიანი—90 მან; ქოჩიაშვილი ვასილი—90 მან; გელაშვილი პარმენი—90 მან; ახმეტელაშვილი სიმონი—90 მან; მარკოზიშვილი ნიკოლოზი—34. 70 კაპ; ჩაჩანიძე ნიკიფორე—28 მან. 70 კაპ. მამამთავრიშვილი გრიგორი—2 მან. 70 კაპ; მესამე კლასი. პირველი განყოფილება: ინაშვილი გიორგი—14 მან; ქორიძე ირაკლი 10 მან; მუხანაძე ილია—3 მან; მიხაილოვი კონსტანტინე—60 მან; ხვადაგაძე ზაქარია—30 მან; ჩიტავა გაბრიელი—60 მან, 86 კაპ; მესამე კლასი. მეორე განყოფილება: აბესაძე გალაქტიონი—100 მან; ლომთათიძე პავლე 90 მან; მეორე კლასი: ახმეტელაშვილი ილია 60 მან; ბედიანიშვილი ვლადიმირი—60 მან; გერმანოვი ზაქარია—100 მან; კახანიძე პეტრე—90 მან; მარკოზიშვილი მაქსიმე—8 მან; მერებიშვილი დიონისი—40 მან; პარკაძე იოანათამი—90 მან; უთურაშვილი გიორგი—100 მან; პირველი კლასი. ლიბაძე ვასილი—90 მან; მშველიძე გ. 50 მან; ფანჯაქიძე იოსები—110 მ. სისაური ალექსანდრე—100 მან; ხატისკაცი ალექსი—46 მან; წიკლაური ბესარიონი—100 მან; და შამანაური მიხეილი—10 მან; სულ 2461 მან 96 კაპ.

ქართლ-კახეთის საეპარქიო სასწავლებლო საბჭოს სკოლაგან,

ქართლ-კახეთის საეპარქიო სასწავლებლო საბჭოსის ჟურნალზედ, 16 თიბათვიდამ ამა წლისა, სხვათა შორის, მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის მიერ დაწერილ იქმნა შემდეგი განჩინი, 23 თიბათვიდამ: დეკანოზს არდაზიანს (თბილისის სამების საეკკლესიო სამრევლო შკოლის გამგეს) და მასწავლებელ ქალს (ამავე შკოლისას) არდაზიანს გამოეცხადოსთ მადლობა საშკოლო საქმეში ერთგულებისთვის. მცხეთის საქალბო მონასტრის ილუმენიას, სამონასტრო შკოლის გამგეს, და ყველა მშრომელთა ამავე შკოლაში გამოეცხადოსთ მწყემს-მთავრული ლოცვა-კურთხევა საშკოლო საქმეში ერთგულებისთვის.



# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდღის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცადვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 13-14

1883—1897

1—30 ივლისი

**გ ა ზ ე თ ი ს ო ა ნ ი:**

„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
12 თვით . . . 3 მან.	12 თვით . . . 5 მან.
6 — . . . 2 —	6 — . . . 3 —

ჭულისა და წერილების გავზავნა შეიძლება ამ ადრესით:  
Въ Кеирини, въ редакцію „Мукემსი“ и „Пастырѣ“.

შველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავთ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს


სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

მათი მაღალ ყოვლად უსამღველოესობის საქართველოს ექსარხოსის, მთავარ-ეპისკოპოსის ვლადიმირის მობრძანება ქ. ქუთაისში.

ამ თვის 2, დღით ოთხშაბათს, საღამოზე, რკინის გზის ჩქარი მატარებლით მობძანდა მათი მეუფება თბილისიდან ქ. ქუთაისში. ექსარხოს თანახლდენ თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი სერაფიმი და სიონის საკრებულო

ტაძრის დეკანოზი ესტატე ელიევი. მათ მეუფებას რკინის გზის სადგურზე მიეგება ყოვლად სამღველოებისკაოხის ბესარიონი. მათი მაღალ ყოვლად უსამღველოესობა დაბინავდა არქიერის სასახლეში.

მათი მაღალ ყოვლად უსამღველოესობის ვლადიმირის ქუთაისში მობძანება გამოიწვია ქუთაისის სასულიერო სემინარიისათვის ადგილის ამორჩევის კითხვის საქმემ. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ხსენებული სემინარიისათვის სახლის ასაშენებელი ადგილის გამოჩევა მეტად გაძნელდა. თუმცა განსვენებული მღვდელ-მთავრის გაბრიელის მიერ დიდი





ხნიდან იყო არჩეული ქუთაისის სემინარიისათვის ადგილი არქიერის გორაზე, ბაგრატის ტაძრის ნანგრევების მახლობლად და ეს ადგილი მოწონებულიც იყო როგორც ადგილობრივი სამღვდელთაგან, ისე სასულიერო მართებლობის პირთაგან, მაგრამ ეს საქმე მოულოდნელად აიწვეწ-დაიწვეწა: საზოგადოების, ადგილობრივი სემინარიის მასწავლებელთა და ადგილობრივი სასულიერო მთავრობის აზრი ვეღარ შეთანხმდა და საქმე იქამდე მივიდა, რომ საქიროდ დაინახეს პეტერბურგიდან დანდობილი პირის გამოგზავნა ქუთაისის სასულიერო სემინარიისათვის დასახელებული ადგილების დასათვლიერებლად. პეტერბურგიდან დანდობილი კაცის მოსვლა საქიროდ შეიქმნა, რადგან ჩვენი სემინარიის მაწინდელი რექტორი, არქიმანდრიტი დიმიტრი უთითებდა სინოდს სემინარიისათვის სახელმწიფო ადგილს გორაზედვე დასავლეთის მხრით, რომლის მოპოება მ. დიმიტრის აზრით, უფასოთ შეიძლებოდა. რასაკვირველია ყველასათვის სასიამოვნო იყო მუქთად ადგილის მოპოება. პეტერბურგიდამ მოსულმა პირმა პირველად დაათვალიერა აწ განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ გამოარჩეული ადგილი სემინარიისათვის ბაგრატის ტაძრის გვერდით და მოიწონა ეს ადგილი, ამავე დროს ბ. ის. გაბაშვილმა და ბ. ვიტუშინსკიმ განცხადება შეიტანეს, რომ იგინი თავიანთ მამულებს მიყიდნიან სემინარიის სახლის ასაშენებლად. ბ. გაბაშვილის ადგილი მდებარეობს გორაზე, აგურის ქარხნებთან, ხოლო ბ. ვიტუშინსკის საფირჩხიის ეკლესიის მახლობლად. ყველა ეს ადგილები დაათვალიერა ზემოდ მოხსენებულმა პირმა და მათში უფრო მოიწონა სემინარიის სამმართველოს აზრის თანახმად ბ. ვიტუშინსკის ადგილი საფირჩხიაზე. ამ უკანასკნელ ხანს ხმებიც გავრცელდა, რომ უკვე გადაწყდა ბ. ვიტუშინსკის ადგილის ყიდვა. მაგრამ ამ ბოლო დროს იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების რამდენიმე წარმომადგენელმა პირმა სთხოვა უწმ. სინოდს, რომ ამისთანა საქმე კითხვის გადაწყვეტა ასე აჩქარებით არ გათავებულყო და ადგილობრივ სასულიერო უმაღლეს მთავრობას დაკითხოდნენ. უწმიდესმა სინოდმა ალბათ შეიწყნარა ეს თხოვნა და ამიტომ დაეკითხნენ მათ მაღალ ყოვლად უსამღვდლოებსობას.

საქართველოს ექსარხოსმა სამი ივლისისათვის დაიბარა ქ. ქუთაისის მოურავი, გუბერნიის უფროსი

ინჯინერი, ხუროთ მოძღვარი ბ. სახარევი, ექიმი ბ. თოფურია და მათთან ერთად დაათვალიერა სემინარიისათვის ყველა დასახელებული ადგილები. დაწველილებით გამოიკითხა ამ ადგილების ამბავი.

ამავე დღეს მათი მეუფება, საქართველოს ექსარქოსი ვლადიმირი შებძანდა ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელში, სადაც პირველი ივლისიდან სამაგალითო გაკვეთილებს აძლევენ სამრევლო სკოლების ყველა მასწავლებელთა თანადასწრებით. მათი მეუფება დაესწრო ორ სამაგალითო გაკვეთილის მიცემას. ბოლოს მათმა მეუფებამ ისურვა, რომ ხსენებულ კურსებს სარგებლობა მოეტანოს ჩვენი სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის, შემდეგ აკურთხა მთელი კრება და ბინაზე წაბანდა. მათი მეუფება ამავე დღეს ბძანდებოდა სასულიერო სემინარიაში, სადაც დაათვალიერა წიგნთ-საცავი და მოწაფეთა სამაცადინო ოთახები.

ოთხს ივლის, დღით პარასკევს, დილის ცხრა საათზე მათმა მეუფებამ კეთილ ინება დათვალიერება ბ. ექიმის თოფურის საავად-მყოფოს. ყველა ავადმყოფები დაათვალიერა; ამ დახედვის დროს ბ. თოფურია მოკლედ უწერდა მათ მეუფებას თითოეული ავადმყოფის სწეულების ისტორიას და ექიმობას. მათმა მეუფებამ დაათვალიერა აგრეთვე სააპერაციო ოთახები და სხვა და სხვა ხორც მეტები, კოპები, ბებერები, ჩიყვები და ქვეები, ამოჭრილნი და ამოღებულნი მუცლიდან და შარდის ბუშტიდან. სწორეთ გასაოცარია სამი ხორცთ-მეტი, რომელთაგან თითოეული იწონის სამიდან ექვს გირვანქამდე. ეს ხორც-მეტები ამოჭრილია მუცლიდან და აპერაციაც შევნივრად შეუსრულებია ბ. აპერატორს გერატს. აგრეთვე გასაოცარი სანახავია ქვეები და კენჭები, შარდის ბუშტიდგან ამოღებულნი. ერთი მომრიგებელი შუამავლის შარდის ბუშტიდან ამოულიათ თოთხმეტი მომსხვილო კენჭი და ამ აპერაციის შემდეგ ხსენებული პირი მთლად განთავისუფლებულა სენისაგან. დაბოლოს მათ მეუფებას მადლობა შესწირა ბ. თოფურიამ, რომ ინებეს მისი საავად-მყოფოს დათვალიერება და კურთხევა, და მასთან ნუგეში სცეს ავად-მყოფთა. მათმა მეუფებამ ბ. თოფურის განუცხადა შემდეგი: „მე გმადლოფთ თქვენ, რომ შემთხვევა მომეცით დამეთვალიერებია თქვენი საავადმყოფო, საიდანაც მე შევნიერი და სასიამოვნო შთაბეჭდილებით მივდივარ. გმადლობთ და გაქებთ,

რომ თქვენ არ დაგიზოგავთ არც ენერგია, არც შრომა და არც საფასი და ასე შევნივრად მოგიწყვიათ ეს საავადმყოფო. ღმერთი იყოს თქვენი შემწე ამ ძნელს, მაგრამ საზოგადოებისათვის ფრიად სასარგებლო საქმეში“.

როგორც სასემინარიო ადგილების, ეგრეთვე საავადმყოფოს დათვალისებრების დროს მათ მეუფებას თან ახლდნენ ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ბესარიონი, ტფილისის და ქუთაისის სემინარიის რექტორები და დეკ. დ. ლამბაშიძე.

მათი მეუფება საავად-მყოფოდან წაბძანდა ქუთაისის სამხედრო გენერალ-გუბერნატორთან, სადაც მიწვეული იყო საუზმეზე. საუზმის შემდეგ მათი მეუფება ჩქარი მატარებლით გაემგზავრა თფილისისკენ. მათი მეუფება რიონის რკინის სადგურამდე გააცილა მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ ეპისკოპოსმა ბესარიონმა ზოგიერთი სამღვდელო პირებითურთ.

მწაწე ფექტები.

(აწინდელი დროის სამწუხარო მოვლენათა გამო).

როგორც დრო მიდის, ისე გვემატება სოფლებში ნასწავლი პირები საზოგადოთ და განსაკუთრებით სამღვდელოებაში. ეს მოვლენა დიდათ სასიამოვნოა. იმედია, რომ ეს ნასწავლნი პირნი გონივრულად გაუმკლავდებიან გაუნათლებელ ხალხში ათასნაირ ცრუ-მორწმუნოებას და ჩვეულებას, რომელთაც მაგრათ აქვსთ ფესვი მოკიდებული. ამ ნასწავლ პირთა წყალობით და მეოხებით ბევრი რამ სასარგებლო კეთდება საზოგადოებისათვის. ძველი დროის კაცობრიობა ვერ მიხვდებოდა და ვერ წარმოიდგენდა მას, რაც დღეს ადვილი მისახვედრი და წარმოსადგენია სწავლა-განათლების წყალობით...

კარგი დაგეგმართოსთ, კარგი ნაყოფი მოიტანოს სწავლა-განათლებამ კეთილი ზნეობის და ქრისტიანული მიმართულების მექანე გვამთა ხელში, მაგრამ ვაი მაშინ, როცა სწავლა-განათლება უარდება ხელში

ისეთ კაცს, რომელიც მოკლებულია კეთილ-ზნეობას და ქრისტიანულ ცხოვრებას. ამისთანა პირების რიცხვი, სამწუხაროდ, გაუნათლებელ საზოგადოებაში ხომ შესაძნევათ მრავლდება. დიად, ამისთანა პირების წყალობა იმ სამწუხარო მოვლენათა მიზეზი, რომელსაც ხშირად ვხვდებით ეხლანდელს დროში.

განათლებული პირების წყალობა გამოგონება სხვა-და-სხვა ჩვეულებათა, რომელთა წყალობით მრავალი საქველ-მოქმედო დაწესებულებანი არსდებიან. ავიღოთ თუ გინდ ამ ბოლო დროის იუბილეების დღესასწაულებანი, რომელთა მეოხებით გზა გაეხსნა განათლებისაკენ მრავალ ახალ მოზარდ პირთა.

მაგრამ ზოგიერთების ხელში ესვე იუბილეების დღესასწაულობა ბოროტად იხმარება. როგორც შევიტყვეთ, თურმე დადიან სოფლებში და ხელს აწერინებენ ბ-ჩინების მისართმევ აღრესებზე და იუბილეების სადღესასწაულო ქალაღდებზე. ამისთან ზოგიერთები ფულებსაც აგროვებენ მისართმევ გულსაკიდი ჯვრების სასყიდლოდ!! საზოგადოებამ ალბათ არ იცის ამ საგნის შესახებ სხვა-და-სხვა განკარგულებანი.

მართებლობამ აღრევე კარგად შენიშნა ზოგიერთ პირთადმი უმართლო და ახირებული სურვილი ფარისევლოური თაყვანებისა, განსაკუთრებით გამოწვეული ხელ-ქვეით პირთაგან. კარგად შენიშნა ზოგიერთ იუბილიართა სურვილი მათი არა შესანიშნავი სამსახურის გაზვიადებისა და ამისათვის სხვა-და-სხვა დროს გამოსცა წეს წყობილებანი და კანონ-მდებლობანი იუბილეების დღესასწაულობის შესახებ. უწმიდესმა სინოდმა თავისი უქაზით 1876 წელში დაწვლილებით განმარტა, თუ როგორ უნდა იღღესასწაულონ იუბილეები. ამ უქაზში ვკითხულობთ ჩვენ შემდეგს: „ნება ეძლევათ იღღესასწაულონ 25 და 50 წლის სამსახური ერთსა და იმავე ადგილზე. აღეკძალოსთ იუბილიართა თავის ხელ-ქვეით პირებში ფულის შეკრება სტიპენდიის დასაარსებლად ანუ მათდამი მისართმევ ძვირფას ნივთთა სასყიდლოდ. მართებლობისაგან არ იქმნება ნება-დართული იუბილეების დღესასწაულობა გარდა 25 და 50 წლისა. ამ 25 და 50 წლის იუბილეების დღესასწაულობი-



სათვისაც მთავრობისაგან ნება-რთვა უნდა იქნეს გამოთხოვილი და სხვანი“.

ჩვენის აზრით უწმიდესი სინოდის ამ უქაზს რომ ყველგან მტკიცედ ასრულებდნენ, მაშინ სრულებით მოსაზობილი იქნება ზოგიერთ პირთა შევიწროება და უსიამოვნება, რომელთაც ხშირად გამოიწვევს ხოლმე ზოგიერთ მეუფროსეთაგან უდროვანდროს მათი სამსახურის იუბილეის დღესასწაულობა.

\* \* \*

მათმა მაღალ ყოველად უსამღვდელოესობამ კიევის მიტროპოლიტმა იოანნიკემ ერთ საეპისკოპოსო პირს უთხრა: „მტკიცედ დაადექი კანონს და წინააღმდეგ ამ კანონისა ნურაფერს ნუ მოიქმედებ ზღაპრულ დარწმუნებები, რომ ყოველივე თქვენ მოქმედებას და განკარგულებას სიმტკიცე ექნება“. ჭეშმარიტად როდესაც კაცი თავის მოქმედებას და განკარგულებას კანონზე ამყარებს, მისი მოქმედება ყოველთვის მტკიცეა და როცა კანონს გადაცდება, იგი ვერასოდეს ვერ მიაღწევს თავის დანიშნულ მიზანს. და ამ მხრით რამდენ შეცდომას ვხედავთ ჩვენს დროში!.

დიდ შეცდომებს თავი დავანებოთ, ავიღოთ მცირე შეცდომები. ნაბრძანებია, რომ სიღარიბის მოწმობა მიეცეს ადგილობრივ მთავრობათაგან, მაგალ. ბლალაოჩინთაგან მათ საბლალაოჩინო მაზრის სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთ. ცხადია, რომ ადგილობრივი ბლალაოჩინმა უკეთ იცის მისდამი რწმუნებული საბლალაოჩინო მაზრის სამღვდელო და საეკლესიო პირთა ნივთიერი მდგომარეობა. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ამას არ ვხვდებით. ითხოვენ, რომ მთელი საბლალაოჩინო მაზრის სამღვდელოებისაგან იყოს დამოწმებული სიღარიბე რომელიმე სამღვდელო და საეკლესიო პირის, რომ ამ მოწმობით ან თვითონ მიიღოს რაიმე შემწეობა და ან მისი შვილი სახელმწიფო ხარჯით მიიღოს სასწავლებელში. დღეს ხედავთ, რომ დაატარებენ სოფლიდან სოფელში ქალაქს, რომელზედაც ხელს აწერინებენ მღვდლებს და მათი ეკლესიების ბეჭდებსაც ასმევენებენ. ამ ქალაქში ნათქვამია, რომ მასში მოხსენებული პირი ფრიად ღარიბია და არა რაის მექანე. ამისთანა მოწმობებით მართლა კიდევ კარგად სარგებლობენ ზოგიერთები, საზოგადოებას უკვირს, თუ რათ აძლევენ შემწეობას ისეთ პირთ,

რომელთაც სხვაზე ბევრი შეუძლიათ და უღარიბესნი კი შეუწევნელად რჩებიან? ეს არის ნაყოფი კანონ გარეშე დამოწმებული საბუთებისა. სასურველია, რომ ყველას მიეცეს საშუალება შვილის გამოზრდისა. მართლაც, არც არვინ არის ისეთი მდიდარი ჩვენში, რომ მას შემწეობა არ ჭირდებოდეს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ საშუალების მექანი უფრო იღებს შემწეობას, ვინემ შეუძლო და ღარიბი.

\* \* \*

ამას წინეთ გამოცხადებული იყო, რომ გიმნაზიაში მიეღოთ მარტო შეძლებული კაცების შვილები. ამის გამო ბევრი მშობელი იძულებული შეიქნა სასწავლებელში შვილის მიყვანის დროს თან წარედგინა ისეთი მოწმობები, რომ მათი წლიური შემოსავალი 2000 მანეთს აღემატებოდა. წარმოიდგინეთ, რომ ამავე პირთ წინათ წარდგენილი აქვს სიღარიბის მოწმობა, რომ მათ სრულებით არაფერი არ გააჩნიათ, რათა თავისი ხარჯით შვილები გამოზარდონ.

\* \* \*

ნათქვამია არაკათ: „ქაჩაღმა ჯერეთ სულ არ მოიფხანა თავი, და მერე კანიც კი მოიგლიჯაო“. სწორეთ ასეთი საქმე მოუვიდა ამ ჩვენ „სტუდენტებს“ და „სასტუდენტო“ კაცებს. ჯერ არცერთი მათგანი ქალს არ თხოვილობდა არა თუ სტუდენტობის დროს, არამედ არც თავის სიცოცხლეში. ეხლა კი სულ სხვა სურათს ვხედავთ. გიმნაზიის მეხუთე კლასში გადავა თუ არა მოსწავლე, უთუოდ საცოლო არჩეული ჰყავს. გაათავა სწავლა და როგორც იქნა ეღირსა მოწიფულობის მოწმობის მიღებას. თვლით არ უნახავს ჯერეთ უნივერსიტეტი, არავის არ მიუღია იგი უნივერსიტეტში, მაგრამ „მუნდირს“ ყიდულობს და იცვამს, ეჩქარება, რომ საზოგადოებას „სტუდენტთ“ ეჩვენოს. იმავე თვეში თუ ქალი არ ითხოვა, არ შეიძლება!.. ერთი წელიწადი როგორც იქნება გაატარებენ წვლებით რუსეთში და ბოლოს უნდა დაშორდნ ერთმანეთს და აჯახირონ ცხოვრება ნამდვილ ცხოვრებაში შესვლამდისინ. საფრანგეთში ცოლიანი კაცები სწავლობენო, მაგრამ ეს საფრანგეთშია და არა ჩვენში. ღმერთმა კეთილი ქმნას ეს ახალი მოვლენა ჩვენ «სტუდენტებში», მაგრამ ამისთანა სტუდენტებისაგან დიდ სარგებლობას კი არ უნდა მოელოდეს საზოგადოება...  
სოფლის მღვდელი.

### ჰედაგოგიური კურსები იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიების სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ქ. ქუთაისში.

ორს ამა ივლისს, ქალაქ ქუთაისში დაიწყო მოქმედება ეგრეთ წოდებულმა ჰედაგოგიურმა კურსებმა, რომელზედაც მოწვეულ არიან სამრევლო სკოლების ყველა მასწავლებელი იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიიდან. კურსებზე გამოცხადდა სულ ორასი მასწავლებელი. კურსების განხრის წინადაქმნა სასულიერო სასწავლებლის ეკლესიაში მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ ალავერდის ეპისკოპოსმა ყოვლად სამღვდელო ბესარიონმა ამ შემთხვევის სათანადო პრაქტიკისი გარდინადა და შემდეგ მასწავლებელთ მოკლე სიტყვით მიჰმართა კურსების დანიშნულების შესახებ. ეკლესიიდან მასწავლებელი დაბრუნდნენ ისევ სასულიერო სასწავლებელში. აქ დეკანოზმა მ. გ. ცაგარეიშვილმა სიტყვა წარმოასიტყვა, რომელშიაც აღნიშნა სამრევლო სკოლების პირველი ხანა და მისი ისტორიული ზრდა-წარმატება რუსეთსა და ჩვენს მხარეში. მეორე დღეს გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე ბ-ნმა თ. ქორდანიამ დალაგებით განმარტა და გაარკვია აზრი და დანიშნულება სამრევლო სკოლებისა, აგრეთვე ის იმედი, რა იმედსაც უმაღლესი მთავრობა ამყარებს ამ სკოლებზე. ამას გარდა, ჩამოთვალა ზნეობრივი თვისებანი, რომლითაც უნდა იყვნენ ადჰერენციონი სამრევლო სკოლების მასწავლებელი. ეს იყო წინასიტყვაობა იმ მძიმე და რთულ შრომისა, რომელიც ამ კურსებზე პატივცემულმა ქორდანიამ იკისრა. ხოლო ეს შრომა განლაგებული იქნა კითხვა სწავლების წეს-რიგის შესახებ. ლექტორმა ძალიან გასაგებად, მარტივად და უურადდების აღმძვრელად წაიკითხა ლექცია და ბევრი ისეთი რამ სიტყვა, რაიცა პირველის შეხედვით თითქოს ადვილი ეგონება უველს, მაგრამ რაიცა თურმე დიდს დაკვირვებას, დიდს ხერხსა დი უნარს მოითხოვს მასწავლებელთაგან. ლექციები კურსების გათავებამდე გასტანს,

ხოლო თითონ კურსები, როგორც ამბობენ, აკვისტოს ცხრა რიცხვებამდე გავრცელდება. კურსებზე დიდი უურადდება აქვს მიქცეული მეურნეობასაც, რომლის, თითქმის, ყოველი დარგისთვის სპეციალისტები არიან მოწვეულნი. მაგ., ბ-ნი ნ. მკურნალი კითხულობს ლექციას სენა-თესვისა და ყაჭის მოვლის შესახებ; ბ-ნი რ. ჩხეიძე და ს. მატარაძე მეფეთკროების შესახებ; ბ-ნი ა. შარაბიძე მებოსტნეობისა და მცენარეობის შესახებ, ხოლო ბ-ნი ი. ქუთათელაძე საფუძვლიან მებაბრეშუმეობის შესახებ. ყოველსავე იმას, რასაც თეორიულად ასწავლიან, პრაქტიკულადაც აჩვენებენ სამეურნეო სასწავლებლის ბაღ-ბოსტანში და ვენახ-საფუტკრეში. კურსების პროგრამაში, როგორც საფიქრებელი იყო, საეკლესიო-გალობასაც კუთვნილი და შესაფერი ალაგი უჭირავს. სლავიანურ გალობას ასწავლიან ბ-ნი მადრაძე და შარაბიძე, ხოლო ქართულს მ. რ. ხუნდაძე და ბ-ნი ჭალაგანიძე. სამაგალითო გაკვეთილებს აძლევენ ბ-ნი: ლ. ხმალაძე, ი. მიქაძე, გ. მკურნალი და ს. მატარაძე. როგორც ვხედავთ, კურსების პროგრამა იმდენად მდიდარი, მრავალ-ფერი და საინტერესოა, რომ უეჭველია დიდი სარგებლობა უნდა მოუტანოს სამრევლო სკოლებს და მათში მოსწავლეთა. მათმა მეუფებამ საქართველოს ექსარქოსმა მთავარ-ეპისკოპოსმა ვლადიმირმა ქუთაისში მყოფობის დროს, სამს ივლისს კეთილ იცნა დასწრება კურსებზე, როცა სამაგალითო გაკვეთილებს აძლევენ რუსული ენის სწავლების შესახებ ბბ. ხმალაძე და მიქაძე. აკურთხა კურსები და წარმატება ისურვა მათთვის. უნდა ვთქვათ აქვე, რომ მასწავლებელთა ბინადრობის და სმა-ჭამის საქმე ისე კარგად არ არის მოწყობილი, როგორც თფილისში. არ შეიძლება კაცმა სთქვას, რომ ეს კურსები უველაფრად კარგად იყოს მოწყობილი და ნაკლულევიანება არაქონდეს, მაგრამ მათ ნაკლულევიანებაზე და მეცთომანზე არა ვსწერთ ვნლა და არც ნება გვაქვს.



### საზავსულო პედაგოგიური კურსები თბილისში.

დღეს მესამე დღე არის, რაც საეპარქიო სამოსწავლო საბჭოსაგან დარსებული საზავსულო პედაგოგიური კურსები დაიწყო. საბჭოსაგან მოწვეულნი იყო 30 მასწავლებელი კაცი და 26 მასწავლებელი ქალი, მაგრამ მსურველი მეტი აღმოჩნდა და არც საბჭომ განუცხადა უარი, ასე, რომ დღეს მასწავლებელი ქალი და კაცი სულ 65-ია. მასწავლებელთ თვით არაფერი ეხარჯებათ და თითქმის ყველაფერი საბჭოსაგან ეძლევათ: ბინა, საქმელ-სასამელი, გზის ფული და სხვა.

საბჭომ დაადგინა, პირველად სამოსწავლო ლექციები წაკითხულიყო სემინარიაში და შემდეგ სამეურნეო საგნების შესახებ — საბაღოსნო სასწავლებელში, მაგრამ გარემოებათა გამო ეს წესი შეცვლილი იქმნა და პირველად ლექციების კითხვა დაიწყო სასოფლო სამეურნეო საგნების შესახებ საბაღოსნო სასწავლებელში. ეს ლექციები გასტანს 21 ივლისამდის, შემდეგ დაიწყება ლექციები პედაგოგიის შესახებ სემინარიაში. შენობის სივიწროვის გამო გარეშე ყურის მგდებელთ აღეკრძალებათ საბაღოსნო სასწავლებელში ლექციების მოსმენა.

ლექციებს კითხულობენ ბ-ნნი პ. ს. კრავჩენკო და ფ. ვ. ტურჩინსკი. პირველს აქვს მინდობილი მებოსტნეობის შესახებ ლექციების წაკითხვა, მეორე, — სახეილო ბალის გაშენებისა. ამ მასწავლებელთაგან თეორიულად და პრაქტიკულადაც განხილულ იქმნა ჯერ-ჯერობით შემდეგი საგნები: 1) რა ნიადაგის ადგილი შეჰფერის ბოსტანს და სახეილო ბალს. 2) მზის რომელ მხარეს უფრო სასარგებლოა მისი მდებარეობა. 3) როგორ განოყიერდება, თუ ბუნებით ანუ დიდი ხნის მუშაობით ძალა-გამოღებული ნიადაგია. 4) რასაშუალებაა საჭირო ნაშრომის უზრუნველ-ყოფისათვის გარე და შინაგან მტერთაგან. 5) რა და რა წესები არსებობს ბოსტნის დასაკვალად, რა სიშორეზედ უნდა იყოს კვლები ერთმანეთზედ. 6) რა და რა წესი არსებობს მორწყვისა. 7) რა და რა წესი არსებობს ხეილის დასარგველად. 8) სამუშაო იარაღი ჩვენში და სხვა განათლებულს ქვეყნებში.

მასწავლებელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბ-ნი ფ. ვ. ტურჩინსკი, რომელიც ენა-წყლიანი

კაცია, საგანგებოდ აქვს შესწავლილ თავისი საგანი და გულითაც უყვარს სასოფლო მეურნეობა. თვით მოწვეული მასწავლებელნიც დიდის გულ-მოადგილობითა და ყურადღებით ისმენენ ლექციებს. უფრო ძლიერ მოეწონათ ლექციები მევენახობის შესახებ. ბ-ნმა ტურჩინსკიმ აუხსნა სხვა-და-სხვა წესი ვენახის გაშენების ღ შემდეგისათვის აღუთქვა გააცნოს წესი ამერიკულის ვაზის მყნობისა ჩვენებურს ვაზზედ. მასწავლებელნი ამ დაპირებას დიდი სიხარულით მიეგებნენ და ტაში დაუკრეს. ბ-ნი ფ. ვ. ტურჩინსკი დაპირდა აგრეთვე შეუდგინოს მასწავლებელთ სია, თუ რომელი ხეილის რა წესით დარგვა უფრო სასარგებლოა. („ივერია“)



### საკმაოდ აქვს ჩვენში გლეხებს ადგილები თუ არა?

იმ დროს, როცა კითხვაა ადძრეული, რომ ჩვენში სხვა და სხვა ადგილებიდან ხალხი გადმოსახლონ, არავის კრგად გამოგვდევნის და შეტუბილი არა აქვს, თუ რა გაჭირვებას ითმენენ ჩვენში თვით ადგილობრივი გლეხები სახნავ-სათესი ადგილების უქონლობისა გამო. ყველამ კარგად იცის, რომ ბატონ-ყმობის გაყრა მოხდა ჩვენში 1864 წელს. ამ 1864 წლიდგან ხალხის რიცხვმა, თითქმის, ერთი ორად იმატა. საბატონო გლეხებს, რომელთაც ბატონ-ყმობის გაყრის დროს სამი-ოთხი ქცევა მიწა შეხვდა, დღეს ეს მცირე მამული სამად-ხუთად არის დანაწილებული და ასეთი მცირე ადგილი როგორ დააკმაყოფილებს გლეხს, რომელსაც სხვა და სხვა აუცადებელ მოთხოვნილების დაკმაყოფილების გარდა, ათი-თორმეტი სული ჰყავს სახლში სარჩენი. სახაზინო გლეხებშიაც წინანდელი ერთი გლეხი დღეს ორ-სამ ოჯახად არის დაყოფილი და მათშიაც მიწის სივიწროე ხშირი შემთხვევაა. ამ სამწუნარო მოვლენას, დიდი ხანია, უკრადდება მიაქციეს. ამ საგნის შესახებ შეტერბურგის ერთ გაზეთში მოთავსებულია ერთი საუკრადდებო სტატია, რომელიც აქვე მოგვყავს:



უკვე ცნობილია, რომ კავკასიის მცხოვრებთა ეკონომიურად შევიწროების ერთი უმთავრესი მიზეზი საკმაოდ ადგილ-მამულის უქონლობაა, რომელიც გლეხობასაც და მამულის პატრონ თავად-აზნაურობასაც ერთ ნაირად აწუხებს. ამის დასამტკიცებლად საკმაოდ მხოლოდ აღვნიშნათ, მთელს კავკასიაში თითოეულს მცხოვრებს რამდენი ადგილი უჭირავს: ქუთაისის გუბერნიაში ორთა შუა რიცხვით თითოეულს კომლზედ 3,7 დესიატინამდის, ე. ი. 7 დღიური; განჯის გუბერნიაში—4,25 დესეტ., დადესტინის ოლქში 4,5 დესეტ.; ერევნის გუბერნიაში—3,6 დესიატ.; ზაქათალის ოლქში 4,9 დესიატ., ხოლო ტფილისისა და ბაქოს გუბერნიაში 5,8 დესიატინამდის თითოეულს მცხოვრებზედ. ხოლო თუ მხედველობაში იმ გარემოებას მივიღებთ, რომ მთელის კავკასიის 1/2 (ზოგან-კი 3/4-იც) ტყეებსა, მთებსა, ხევებსა, გზებსა, კარმიდამოებსა და სხვ. უჭირავთ, მაშინ ხომ სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწა შედარებით ბევრად მცირე აღმოჩნდება თითოეულს კომლზედ. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ აღნიშნული რაოდენობა ადგილ-მამულისა მცხოვრებთა რაოდენობასთან შედარებით პოლიციის სასტატი სტიკო ცნობიდან არის ამოღებული, რომელიც 90 წლების დასაწყისში იქმნა შეკრებილი და რომელიც ბევრად შემცდარი აღმოჩნდა შედარებით ამ წლის სახალხო აღწერის პირველ დაწყებით მცხოვრებთა რაოდენობასთან. ამისათვის, ნამდვილი და უტყუარი ცნობები ამ საგნის შესახებ მხოლოდ მაშინ გვექნება ხელთ, როდესაც ამ წლის რუსეთის საყოველთაო აღწერის ანგარიში საესებით იქმნება გამოცხადებული.

3 მილიონ დღიურიდგან (1 1/2 დეს.), რომელიც მთელს კავკასიაში სხვა-და-სხვა მეურნობას უკავია, 72% გლეხობას უჭირავს, მხოლოდ დანარჩენი 28%—საუფლისწულო უწყებასა და კერძო მემამულეთ. მაგრამ ხსენებული მამულები აქამდის გაფანტულია და განაწილებული, რომ მრავალს შეღავათიან წოდებათა წარმომადგენელსაც კი მხოლოდ სულ 4—10 დესიატ. მიწა აქვს და ესეც სამსა და ოთხს ადგილას, ერთი მეორესაგან დაშორებული.

საგლეხო „ნადელებიც“ საშინლად მცირეა მთელს კავკასიაში. ტფილისის გუბერნიის ბევრს სოფელში, მაგალითად, გლესს (კომლს) დესეტინზედ მეტი „ნადელო“ მიწა არა აქვს, სხვაგან კი 3 დესიატინაზედ მეტი არასოდეს არა აქვს. ქუთაისის გუბერნიაში და კავკასიის ყველა გუბერნიებშიაც საშუალო რიცხვით საკომლო „ნადელი“ 3 დესეტინას არ აღემატება. დროებით ვალდებულნი გლესნი ხომ უფრო ცუდს მდგომარეობაში არიან ჩაცვიფრული მთელს კავკასიაში. დღემდის ჯერ კავკასიაში გლესთა 50—70% არ განთავისუფლებულა მებატონეებისაგან, ხოლო გამოუსყიდველი მიწა მთელს 75% შეადგენს. ორთა შუარიცხვით-კი დროებით ვალდებულს გლესს 3—4 დესეტინაზედ მეტი არ უჭირავსო.



**სასარგებლოა ფუტკრისთვის ბასტი (ანუ მაღლი ფუტკარი) თუ არა?!**

აქამდის მეფუტკრეთ დანამდვილებით არ იციან, რამდენად სასარგებლოა ფუტკრისათვის იმდენი ბასტი, რა სიმრავლითაც არის ხოლმე ყოველს სკაში. არისტოტელი ამბობს: სკიდგან გამოფრენილი ბასტი აღის მალლა ჰაერში სასპარეზოდ და იქ რომ გაათავებს ასპარეზობას, ისევე უბრუნდება თვისს ბინას, რომ უფრო მადიანად შეექცესო. გამოჩენილი მეფუტკრე ბულტერიც შემდეგსა სწერს: „ბასტი—დიდი ფუტკარია, რომელსაც საკბენი ნესტარი არა აქვს, დროს მუქთად და ჰამა ძლომაში ატარებს... შუადღის დრო რომ მოვა, გამოფრინდება სკიდგან და ხან ერთს მხარეს გაფრინდება და გაიბზუილებს, ხან მეორეს, ასე ეგონება კაცს, დიდს საქმეს აკეთებსო, ნამდვილად კი—ბუნებას ეტრფის და მადას იკეთებს გასაძლომალო. მეფუტკრე ლორენცლორენჯი ლაგსტროტიც ამერიკაში სცხოვრობდა, ამ აზრისა იყო ამ მეცხრა-მეტე საუკუნის უკანასკნელ ჟამამდე და დაბეჯითებით გვირჩევს, რომ ბასტები დაჰხოკეთ, როდესაც ფუტკრის დედისათვის საჭირო აღარ არის, რადგან ისინი მაშინ ფუტკრების ბარგად და მავნე მწრებად ჰხდებიანო.



მეც დაკვირვებით ვადევნე თვალი ჩემს საკუთარს საფუტკრეში, რომელიც აღემატება სამასს სკას ახალის სისტემისას (სკებს ვახმარებ „ანჯელოდუბინის სისტემისას“, რადგანაც დადანიის სკაში ფუტკარი კარგად ვერა გვარობს) და ამ რვა წლის გამოკვლევამ დამანახვა, რომ ბასტი არამც თუ მავნე მწერი არ არის ფუტკრებისათვის, არამედ დიდად სასარგებლოა. ბუნებამ ყოველს სულდგმულს თავისი მნიშვნელობა და საქმე მიუნიჭა.

მაგალითად, მე ავიღე ორი სასწორი და ორი სკა ფუტკარი, ერთის სასწორის ერთს თევზზედ დავდგი ერთი სკა და მეორე თევზზედ მიუწონე იმდენი საწონი, ვიდრე გასწორდებოდა უღლები. მეორე სასწორზედაც ამ ნაირად მოვიქეცი, მესამე დღეს ჩავყარე ბასტი ორივე სკაში და სასწორები კიდევ დავასწორე. მეოთხე დღეს საღამოს ვნახე, რომ თითოეულს სკას მოჰმატებოდა ერთის დღის განმავლობაში წონა 10 გირვანქა. ავიღე მაშინვე, ე. ი. მეოთხე საღამოს, და სკას რაც-კი ბასტი ჰყავდა, სულ ამოვაცალე, მეორე სკაში კი ისევ ისე დავტოვე და წონა დავასწორე. მეხუთე დღეს საღამოს სასწორმა მაჩვენა, რომ იმ სკას, რომელსაც ბასტი ამოვაცალე, 8 გირვანქა მოჰმატებოდა, და მეორე სკას რომელშიაც ბასტი იყო, 10<sup>3</sup>/<sub>4</sub> გირვანქა მოჰმატებოდა.

რომელშიაც ბასტი დავანარჩუნეთ, იმ სკაში მიემატა სითბო ბასტისაგან და ამის გამო მუშა ფუტკარი სამუშაოდ გაფრენილა. მეორეში-კი, რომელსაც ავართვი ბასტი, ბევრი წილი მუშა ფუტკარი იქვე დარჩენილა, რომ ბლარტს არ შეგვიცივდესო, და ამის მიზეზით ნაკლები შეუტანიათ. უფრო დასარწმუნებლად ავიღე და მეხუთე დღეს საღამოს იმ სკას, რომელსაც ბასტი აკლდა, ისევ მივუმატე, მეექვსე დღეს ორსავე სკას ერთნაირად მოემატა წონა\*). „ივერია“

ავახაკი კიჩეი.

დრო ცვალებადა. ორლოვის და სმოლენსკის რკინის გზის ლიანდაგზე ახლა სწრაფად და უშიშრად მიმოჰქრებიან მატარებლები. ვაგონების სარკმლებიდან ელვასავით გებატებათ თვალწინ ნაცნობი ერთფეროვანი სურათები შუაგულ რუსეთისა: დედეები, მთის კალთები, პატარ-პატარა ქალები, სოფლები და ღარიბი ხევები. უახლოვდებით და მერე უკან სტოვებთ სადგურებს: «დევიატ დუბოვ», „კარაჩევი“, „ბრიანსკი“, და სხვებს. აღარაფერს ეუბნებიან მგზავრს ეს სახელწოდებები, არც ერთი აღარაფერს მოგვაგონებს წარსულიგან. იგი გავლილია და მივიწყებული, მხოლოდ სამშობლოს წარსულის მოყვარეთა სამეცნიერო შრომაში და თავისებური, მკაფიო შთაბეჭდილებით სავსე მდაბიო ხალხის ზეპირ ლიტერატურაშიღა შევხვდებით მხოლოდ ამ ადგილების ამბებსა. აიღეთ პატარა სადგური „დევიატ დუბოვ“. ვის არ სმენია ბოვშობაშივე ძველი თქმულება ყაჩაღ სოლოვიევზე, რომელიც თურმე სცხოვრობდა ერთად შეზრდილ ცხრა მუხაზე, და ბუღბუღისებური სტვენით ანიშნებდა ამქრებს საცარცვავად მომზადებას? ან კიდევ სამაზრო ქალაქი „კარაჩევი“, მოკირწყლული ქუჩებითა, ფარნებითა, ქვის შენობებითა, და დიდებული ტაძრებითა,—ეს ძველი ბუნავი ყაჩაღ კარაჩეისა. შემდეგ შეუხვევთ „კლეტნისაკენ“, სადაც ერთ დროს ფართო ტევრი

ზაფხულზე იღებს სკიდან, რომ თაფლის მუქთა მჭამლების რიცხვა არ იმატოს სკაში. ეს ჭეშმარიტება მეფუტკრეთაგან, დიდი ხანია, შეტყობილია. მაგრამ იგი არ ცოდნია „ივერიის“ კარესპონდენტს ბ. თ. მოსულიშვილს. რომ იგი დამტკიცდეს ჩვენი ნათქვამი სიტყვების სიმართლეში, კარგათ დააკვირდეს მუშა ფუტკრების მოქმედებას, როცა ისინი ხოცავენ მამალ ფუტკარს. მამალი ფუტკრები რომ სასარგებლონი იყოს სკისათვის, როგორ დახოცდენ მათ? საჭირონი არიან იგინი ახალი გამოტეხილი დედოსთვის, მაგრამ მცირეოდენი ყოველთვის ჰყავსთ ხოლმე სკაში და არც ერჩიან მათ. ბ. თ. მოსულიშვილი ძლიერ მოტყუებულა თავის მსჯელობაში შესახებ მამალი ფუტკრების სიმრავლის სარგებლობისა. ფიჭის იმ ადგილს, სადაც მამალი ფუტკრის კვერცხები ჩაითესლა, მუშა ფუტკრის ფიჭები რომ ყოფილიყო, მამალი ფუტკრების მაგიერ მუშა ფუტკრები გამოტყდებოდა და მამალი ფუტკრების მაგიერობას სითბოს შესახებ დედალი ფუტკრები იზამდენ, რომლებიც მცირე თაფლსაც ხმარობენ.

\*) ამ წერილის შესახებ გავითი „ივერია“ აცხადებს, რომ სხვა მეფუტკრეებმაც თავიანთი აზრი გამოთქვეს. ჩვენს მხრით ვაცხადებთ შემდეგს: გამოკვლეული და დამტკიცებულია, რომ მამალი ფუტკრების სკაში გამრავლება სასარგებლო არ არის. ყოველი რიგიანი მეფუტკრე მამალი ფუტკრების ფიჭებს გა-

იყო მოფენილი, დიდებულ მოღვაწეთა ღარიბულ ქოხებითა და სენაკებითა, ვარსკვლავებით მოქედოლ ცის გუმბათივით. ბევრი მათგანი გაჰქრენ, როგორც სხვა მრავალნი, უძლეველ ჟამთა ბრუნვისაგან, ხოლო ბევრთ დღემდეც მოულწევიათ და არა ერთს და ორს საუკუნეს გაივლიან და გამოცვლიან შთამომავლობას შთამომავლობაზე.

ს. კიჩევი არაფრით არ განსხვავდება ახლა იმ გუბერნიის სხვა სოფლებიდან: იგივე წყობისად ჩარიგებული პატარ-პატარა მუქი ქოხმანები, გაშავებული-ჩამოხანსული ისლის სახურავები, იგივე პატარა თეთრი ხის ეკლესია შუაგულზე, იგივე ვიწრო ღელე ან ერთნაირი უსახელო პატარა მდინარე, რომელიც ორის მხრით ჩამოურბენს და რომლის მზგავს არა ერთსა და ორს შეხვდებით რუსეთში. მეშვიით გადაჭიმულან ველები და რამდენხედაც კი მიგიწვდებათ თვალი, ვერც ერთს ხეს და ჩირგვს ვერ დაინახავთ, მხოლოდ აქა-იქ, სადაც ქაობებია და მაშასადამე საყანეთ უვარგისი, გამოიხედებიან პატარ-პატარა ბორცვები. ეს არის და ეს, რაც დარჩენილა ათას წლოვან ფიჭვნარისაგან. პატარა ადამიანს, რომელიც კოკოჩანივით გამოსჩდებოდა მასში, უძლევია და გაღუჩხია ბუმბერაზი. დიად, ცვალებადია დრონი. ახლა ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთ დროს აქ გმინავდა ხშირი ფიჭვნარი. ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთ დროს იმ სახნავ-სათეს მინდვრებს ხშირი და მაღალი ფიჭვნარის გამო მზის სხივი ვერ ატანდა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს მშვიდი და ქედმოხრილი მკვიდრნი სოფლისა იმ თავზედ ხელაღებულ ბრბოს მემკვიდრეა, რომელიც ძველ დროს გარს ეხვივა და თან ყვებოდა ცბიერ ავაზაკს „კიჩის“ და რომ თითონ ეს სოფელი მისი ბუნავი იყო. ახლა მგზავრი უშიშრად შედის სოფელში და აღხეინად გაითევს ღამეს, ვისთანაც უნდა მოხვდეს, წინეთ კი ამ ყაჩაღის ერთი მარტო სახელის გაგონება შიშის ზარს სცემდა და ააძაგძაგებდა. თუ თქვენ მოისურვებთ შეიტყუათ ყველა ამ ცვლილებათა მიზეზი, ყოველი მკვიდრი სოფლისა მოგითხრობს თქვენ უხსოვარი დროის ამბებს, გეტყვით, თუ რად და როგორ განვლო დღენი მათი წინაპრების თავხედმა ბელადმა.

ოცისა თუ ოცდახუთი ვერსის მანძილზე იმ ადგილიდან, სადაც ახლა გაშენებულია ს. კიჩევი, არსებობდა ოდესმე პატარა მონასტერი წმ. ილიას

სახელობაზე. ასე ერთმანეთთან დაახლოებული ცხოვრება ბერებისა და ყაჩაღებისა მაშინდელს დროში გასაკვირველი არ იყო და არც ყაჩაღის კიჩის საცხოვრებელი ადგილის სიახლოვე ურღვევდა მყუდრო ცხოვრებას მონასტრის მკვიდრთა, ვინაიდან ავაზაკები თავისი ადათისამებრ მახლობელ სოფლებსა და მონასტრებს არ არბევდენ, ან კი რა უნდა წაეღოთ მონასტრიდან; მონასტერი მეტად ღარიბი, დაუსახლებელი და ახლო-მახლო მცხოვრებთაგანაც გაუცნობელი იყო, ვინაიდან მიუვალ ტყეში იყო აღშენებული რკინისა და შარა გზებზე მოშორებული. ამ გვარი მონასტრები, უდაბნოები და სავანეები ყოველგან მოფენილი იყო მაშინდელს დროში და ექვს გარეშეა, რომ ბევრი მათგანი ისე აღმოცენდნენ და გაჰქრენ კიდევაც, რომ მათი არსებობა არც კი შეუმჩნევიათ. ვინ იცის, იქნება ასეთი ბედი მოელოდა ილიას მონასტერსაც, რომ მის კედლებს შუა არ მომხდარიყო ასეთი ამბავი, რომელმაც მთლად შესცვალა ამ მონასტრის მდგომარეობა და მომავალი. ამ მონასტერში დასვენებულმა ყოვლად წმ. მღვთის მშობლის ხატმა განკურნა ერთი ბრმად შობილი, ეს ამბავი ელვასავით მოედვა პირველად მახლობელსა, და ხოლო შემდეგ რუსეთის შორეულს სოფლებს და ქალაქებს. დაიძრა მრავალი მლოცველი, ქვეითი თუ ცხენოსნები, მონასტრისკენ ყოველი კუთხიდან, მოაწყდა შესაწირავი, მსხვერპლი, და რამდენად მეტი ხალხი მოდიოდა, იმდენად უფრო მეტად იზრდებოდა და ეფინებოდა მისი დიდება ქვეყანას,—დიდება ბერების საოცარსა, ღვთიურ ცხოვრებაზე და სასწაულთ-მომქმედ ღვთის მშობლის ხატზე. მაგრამ ამან, რაც განსაკუთრებულს, ღვთაებრივ მადლს შეადგენდა მონასტრისათვის და სათავე იყო ბერების სულიერი სიხარულისა, მეტად გაამძვინა მრისხანე მეზობელი კიჩეი. ის ვერ შეურიგდა იმ გარემოებას, რომ მისი საიმედო თავშესაფარი, მიყრუებული, მიუვალი ფიჭვნარი გადიქვა ყველას შესატყობად, მრავალ-ეროვან სადგურად. ამ რივად მონასტრის ძლიერება მისი საზარალო შეიქნა. ქველმოქმედება მას სულაც არ ეხალისებოდა. სანამ ვნებას არ მისცემდა, შეეძლო აეტანა მონასტრის არსებობა, მაგრამ მისი პირადი ანგარიშების დათმობა მისთვის აზრადაც არ მოსდიოდა. რა უნდა ელონა, რა უნდა მოეფიქრა, რომ თვისი სადგური უვნებლად ექცია ამ დაუპატიებელ ხალხთა შემოსევისაგან? რო-



გორც ღვიძლი შვილი რუსეთის ერისა, მან კარგად იცოდა მათი სარწმუნოების სიმტკიცე და გრძნობდა კიდევაც, რომ რამდენადაც უნდა შეევიწროებინა მის ამაღას მლოცველები, აქ მსვლელობას მაინც ვერ შეაწყვეტინებდენ, ასეთი შევიწროება კიდევაც გამოიწვევდა მათში რალაც სერიოზულ ღონის ძიებას, და სრულებით ვერ გადააჩვევდა ერთხელ შემოღებულს აქ მსვლელობას, სანამ მონასტერი იქნებოდა. დარჩა ორი სახსარი: პირველი-უნდა შეერთებია მისი ბრბო სხვა რომელიმესათვის და თითონ ამ რიგად მის უფროს დამორჩილებოდა, მაგრამ ამ გვარი მომავალი ბედის წერა არ ეხამუშებოდა ამაყ ბელადსა და ხელსაც არ აძლევდა; მეორე — უნდა მოესპო თვით მონასტერი; მაგრამ მონასტრისთვის მაშინ უნდა მოეხერხებია რამე, როდესაც დაცალიერებული იქნებოდა, მლოცველები არ დასწრებოდენ, რომ მათ მონასტრის აოხრების ამბავი არ გაეცრელებიათ მთელს გუბერნიაში. თუ თავისუფალ ღროს ამოსწყვეტდა მონასტრის მკვიდრთ, მაშინ კი უკუნი დაფარებდა საქმის ვითარებას, ვინ გაიგებდა, თუ ვინ ან როგორ მოიმოქმედა! მაგრამ მისდა საუბედუროდ ხალხის მსვლელობა არ სწყდებოდა მონასტერში, ერთი ჯგუფი თუ წავიღოდა, მეორე მოვიღოდა, და კიდევ უფრო დიდი, ვინაიღგან ტყეში მგზავრობა მცირე პირთათვის საშიში იყო. ვინდა თუ არა, უნდა დაეცადათ გაზაფხულის ნამქრობისათვის, როდესაც მლოცველების მოძრაობა შეწყდებოდა ხოლმე და ტყე მიყრუებული იყო. ეს მოლოდინი და დიდ მარხვის დასაწყისში მლოცველების მომატება უფრო და უფრო ამძვინებდა და მოთმინებიდან გამოყავდა კიჩეი. ეგერ ჰაერში სითბომ შემოჰკრა, ტრიალ მინდვრებზე თოვლიც დნება, მაგრამ ეს შეურყვევლი, მტკიცე სარწმუნოებით და ერთგულებით აღჭურვილი ხალხი ისევ მოძრაობდა, სჩანდა, რომ არც შეწყდებოდა ეს მოძრაობა. მაგრამ სამუშაოდან დაბრუნებულმა ყმაწვილებმა მოახსენეს ბელადსა, რომ დნებრი და დესნა მოდიდებულანო. გავიდა დღე, მეორე, მესამე, მონასტრიდან გავიდა დაჩქარებით უკანასკნელი გუნდი მლოცველთა და ახალი კი არ მოჩანდა. ეტყობოდა, რომ ნამქერი და პასექის მოახლოვება აჩერებდა ყველას თავიანთ ოჯახში.

ახლა კი დაგვიანება აღარ იყო საჭირო; უნდა დაჩქარებულიყვენ და ესარგებლათ მოხერხებულ

ღროით. ბრწყინვალე აღდგომის შვალამეზე ერთი ნაწილი კიჩეის ბრბოისა ბელადის წინამძღოლობით გაემართა მონასტრისაკენ. ბოროტ მოამქმენდი ხმაურობით, თამამად და უშიშრად მიდიოდენ, ვინაიღგან კარგად იცოდენ, რომ ტყეში ზამთრის ძილისაგან გამოფხიზლებულ დათვის გარდა, არავინ იქნებოდა. არ გასულა დიდი ხანი, რომ ფიქვების ვებერთელა ტოტებ შუა გამოსჩნდენ ღამის ციაგშა და თოვლის სინათლით განათლებული კრამიტის სახურავები ღარიბული სენაკებისა და ბნელი კოშკივით გამოიხედა ჰაერში დაბალმა ფიცრულმა სამრეკლომ. გალავანს გარედ აგებული პატარ პატარა ქოხმხემში არ მოჩანდა არც ცეცხლი და არც მოძრაობა. წმ. კარები ჩაკეტილი დაუხვდათ: მაშასადამე არც ერთი მლოცველთაგანი აღარ იყო. დაბნედილი, გამძვინებული ყვირილით დაუშინა მუშტები წმ. კარებს რამდენიმე ათეულმა ავაზაკმა:

—ეი, წმიდანო მამანო! დღესასწაულზე სტუმრები გეწვიათ!

მონასტერში ის-ის იყო დაესრულებიათ ლიტურღლია, ღ ლიტურღლის შემდეგ დასარეკად სამრეკლოზედ გამოსულმა მოსამსახურემ პირველად გაიგონა ეს ყიჟინი. სწრაფად დაემვა დახლოკნილ კიბეზე და მოახსენა ეკკლესიის კარებში მომავალ ხაზინადარს, რომ მონასტერი განსაცდელშია, ვილაც საექვო ადამიანები ამტვრევენ კარებს და რალაც გიჟივით ყიჟინობენო. ხაზინადარმა გაიყოლა მრეკავი, ორი-სამი კიდევ სხვა ბერი, რომლებიც ეკკლესიიდან გამოსულიყვენ და გასწია ჰიშკრებისაკენ:

—ვინახარ, ჰკითხა მან.  
 —შეგვიშვი და გაიგებთ! იყო პასუხად, და ამ ღროს რკინის საღტეებით დაჭედილმა ჰიშკარმა ერთბაშად დაიწკრილა.

—ჰიშკრებს რას ამტვრევთ! გვითხარით, რა გინდათ და მოგართმევთ! უთხრა ხაზინადარმა, როდესაც კარგად მიხვდა, თუ ვინ იყვნენ სტუმრები.

—გეტყვით, როდესაც მონასტერში შემოვალთ! გაგვიღეთ, რას გვაჩერებთ!

ხაზინადარი მიხვდა, რომ ყოველივე წინაღმდეგობა უნაყოფოდ ჩაუვლიდა და უბრძანა დარაჯს კარების გაღება, და გაშმაგებული ბრბო ყიჟინითა და ყვირილით მოედვა მონასტერს, შესწყვიტეს მისი ჩვეულებრივი მყუღროება და სიჩუმე.

—სად არის თქვენი უფროსი! მოიყვანეთ აქ,



შეჰყვირა კიჩიმი, მაგრამ ამ დროს დაინახა ეკკლე-სიის კარებში რამდენიმე ბერი და მიხვდა, რომ ლიტურგია ახალი დასრულებული იყო და მაშასადამე ჯერ კიდევ ყველანი არ იქნებოდნენ გარედ გამოსული ზღვიანნი იქ იქნებოდა: მაშინვე ურცხვად, ქუდმოუხდელი ისე ღონივრად ეცა კარებს, რომ მინები მთლად ჩამოცვიდნენ, შიგ შეჰყვა მთელი ბრბო. უხდელური მიხვრა მოხვრით წაღვა წინ რამდენიმე ნაბიჯი და ისევ შეჩერდა, თითქმის უკანც დაიწია. საკურთხევლიდან შემოეგება ილუმენი. მშვიდმა, სპეტაკმა სახემ მოხუცისამ ერთი შეაკრთო ავაზაკი, მაგრამ ისევ სძლია გრძნობას და თავ აშვებით დაიყვირა:

— აბა, მოხუცო, მოგვიტანე შენი ხაზინა, ის ჩვენ უფრო გვესაქიროება, ვინც შენ.

— რომელი ხაზინა? წყნარად და დამშვიდებით ჰკითხა ილუმენმა.

— თქვენი ხაზინა! რას მივლებ-მოვლები? არ გაქვთ, იქნება! მლოცველები ხელცარიელი მოდიან თუ? ჰე, ბერო, სტყუი!

— მე მაქვს ფულები, მაგრამ ჩემი არაა! ის შესწირეს ღვთის მოყვარე ადამიანებმა ტაძარსა ზე ყ-დ წმ. ღვთის მშობელს, ამიტომაც არ შემოიძლია მოგცეთ.

— ნახავ, თუ არ მოგვცემთ!

— მე გითხარი, რომ ის ეკუთვნის ზეციერ დედოფალს, მე მხოლოდ მცველი ვარ, მმართველი. შენ გინდა გავხდე ცბიერ მონად, დაუდევნელად ჩემი დედოფლის წინაშე?

— გეყოფა ლაპარაკი! ბევრი ყმედობის თავი არა მაქვს.

— მეც ჩემს დღეში უღმრთოთა რჩევას არ მივყოლივარ, მაგრამ რაკი მეკათხები, უნდა პასუხი მოგცე.

— მაშ, პირდაპირ გვიპასუხე! ნუ თუ გგონიათ წამიხვალთ, ან იქნება სკდილობ დაგვარწმუნო, რომ ჩემი არ გეშინია! ხუმბრობ, ბერო, შენ რომ გონია, არც ისე იქნება! მითხარი: კიჩიმი არ გეშინია? ხომ იცი, ვინ არის იგი?

მაგრამ მისდა გასაოცრად ამ საშიშარ სახელს არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია მოხუცზე.

— შენ ხარ საშიში ჩემთვის! რით? გაოცებული გამომეტყველებით მიუბრუნდა ზღვიანს; შენ რა შეგიძლია! მომკლავ მე ან ყველას, მაგრამ ჩვენ არ

გვეშინიან სიკვდილის, რისთვისაც მთელს სიკაცხლეში ვემზადებით და მოველით დღითი დღე. თუ კი უფალი მოწამისებურ გვირგვინს დაგვადგამს, თუ კი მიგვიწოდებს თვის წიაღში ზე კიდევ ბრწყინვალე აღდგომის დღეს,—ეს ჩვენთვის დიდი სასიხარულო იქნება და არა სამწუხარო!

კიჩიმი რაღაც საშინლად უჩხვლევდა გულს ეს მუსაიფი, ის მოუსვენრად ტრიალებდა, სკდილობდა თვალი აერიდებია, თითქოს მშვიდობით გამომეტყველება მოხუცის, წყნარი და მშვიდი თვალებისა აბრმავებსო, თეთრი სპეტაკი წვერები უმტკიცებდა უწმიდურებასა ზე სულის სიღრმის სიშავეს. მან გადასწყვიტა მალე მორჩენოდა ამ სურათს ზე წამოიძახა:

— მაშ, არ მოგვცემ ფულებს? არ გვინა, შენთვის შეინახე! დარწმუნდი, რომ არც ვეძიებთ, შენი ქონებიდან არაფერსაც არ წავიღებ. რად მინდა მე შენი ქონება! მე შენი მონასტერი მინდა! მე ის სულს მიწუხებეს ამ ტყეში, ამიტომაც მას ჩავკიდებ ხელს.

— ოჰ, ადამიანის უგუნურება! ნუ თუ შენ გგონია, რომ აქ ჩვენ ვართ მასპინძელი, ან ჩვენი ნებით არსებობს მონასტერი? აი ისაა ამის პატრონი. ილუმენმა უჩვენა ღვთის მშობლის ხატზე, რომლის წინ ციმციმებდა რამდენიმე სანთელი. იმისი ნებით გაძლიერდა მონასტერი, იმისი შემწეობით იცოცხლებს კიდევაც! იმას უდარებ შენს ძალ-ღონეს? იმისთვის ყველაფერი შესაძლებელია. შენ ძალგძს მხოლოდ დარღვევა, მას კი აღდგინებაც. იმას, შენგანაც, რომელსაც დაგიკარგავს ადამიანის მსგავსება. შენ მძინვარე მხეცისაგანაც, ძალუძს შექმნას მშვიდი კრავი, ვინაიდან ყოველად შემძლებელი ზე მრავალ მოწყალეა.

— კარგი, ეხლავ დავინახავთ ამას! აბა, წმიდანო მამანო, მოდი თუ აქ, ყველა შეგროვდით. ეხლავ დავიწყებთ მეორე ლიტურგიას, დაიყვირა გამძვინებულმა და დაბნედილმა კიჩიმი.

ამ სიტყვებზე რამდენიმე მხლებლები გამოვარდნ გარედ და მოედვენ მონასტერს, რომ არავინ დარჩეს სადმეო. მაგრამ გალავანიც ზე სენაკებიც დაცალიერებული დაუხვდათ, ალბათ მთელი ძმანი ტაძარში შეკრებილიყვენ. მაშინ კიჩიმი გამოვიდა მხლებლებით გარედ, ჩაკეტა მაგრად კარები და მისცა ცეცხლს ტაძარი. ცეცხლმა ერთს წუთს შთანქრა ხის ტაძრის კედლები და ზევითა ნაწილს მოედვა. კეთაზე ქუდ მოგდებული ბელადი იდგა და



სტკებოდა თვისი ნამოქმედართ. მაგრამ შუაგულ ცეცხლიდან შემოესმათ საამური გალობა: თურმე ცეცხლის ლუკმად გამოხადებული ბერები აღდგომის ტროპრებს გალობდენ. რაღაც ამ ხმიდან ჩასწვდა დიდის ხნის ჩამკვარტლულს გულს კიჩეისას, ის შეტრიალდა, რისთვინღაც ფოჩი მიწას დაახალა და მოშორდა მონასტერს. მონასტრის დანარჩენი შენობების დაწვა მის მხლებლებს მიანდო.

დიდ ხანს არ გაუძლია ცეცხლისათვის მონასტერს, რომელიც სულ რამდენიმე ფიცრული შენობებისაგან შესდგებოდა. სალამოს იმ ადგილზე მხოლოდ ფერფლსა და აბოლებულს მუგუზლებს დაინახავდით.

დასასრული შემდეგში.

**შურნალ გაზეთებიდან**

გაზეთ „НОВ. Вр“-ში დაბეჭდილია საუკუნადღებო წერილი ბ-ნის ენგელ გარდტ-სა. ბ-ნი წნგელ გარდტი, სხვათა შორის, წერს:

მეცხრამეტე საუკუნე ილევა კიდევ. ჩვენის ფიქრით, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს საუკუნე შესანიშნავი იყოს თვისის ორიგინლობით ან შემოქმედობით, რამე ძალა ჰქონიყოს. ამ საუკუნეში მხოლოდ დასრულდა ის დიდი საქმე, რომელიც დაიწყო მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში. რაც ამ ორმა საუკუნემ გამოიკვლია, შეიტყო და გამოიძია, მეცხრამეტე საუკუნემ მხოლოდ გაავრცელა ხალხში. მართლაც და აბა ვიფიქროთ, ვინ არის ჩვენს დროში ისე გატაცებული და აღჭურვილი თვისის ქვეყნის სიყვარულით, როგორც იყვნენ 1793 წელს, სამაგიეროდ საზოგადოების კეთილდღეობაზედ ეხლა რკინის გზის უკანასკნელი მოხელეც კი ჰლაპარაკობს...

შეიძლება სთქვათ, ნუ თუ არაფრად აფასებთ იმ ათას გვარ ახალს გამოგონებას, რომელთა წყალობით თან და თან უკეთესად ეწყობა ჩვენი ცხოვრებაო.

ამის პასუხათ მოგახსენებთ, რომ აუარებელმა ახალმა გამოგონებამ მხოლოდ დაჰქანცა, დაჰლაღა და გული გაუტეხა კაცობრიობას...

ჩვენს დროში ევროპის ახალი კულტურა შეეჯახა აზიის ძველს კულტურას.

უნდა მოგახსენოთ, რომ კულტურა ორ გვარია: ერთი ცდილობს, რაც შეიძლება მალე გამოიყენოს ყოველ-გვარი საუნჯე და სიმდიდრე, რომელიც-კი არის ქვეყანაზედ. მეორე ცდილობს ყოველსავე ამით რაც შეიძლება დიდ ხანს ისარგებლოს. პირველი კულტურა შეიძლება შევადაროთ მშვენიერს ვარდს, რომელიც მალე იშლება და მალეც ჭკნება. მეორე კულტურა ათას წლობით არსებობს, ევროპის კულტურა პირველს წარმოადგენს, ხოლო აზიისა — მეორეს.

მეცნიერმა ლიბიჰმა შეადარა ევროპის მიწად-მოქმედება აზიისას. ეს მეცნიერი ამბობს: ევროპის მიწად-მოქმედება და მეურნეობა ცდილობს, რომ რაც შეიძლება მალე წაართვას დედამიწას ყოველივე სიმდიდრე და ძლიერ მალე გადააქცევს ხოლმე ხრიოკად ნოყიერს მიწას. ასე არ იქცევა იაპონელი. რასაც-კი ართმევს მიწას იაპონელი, ისევე უკან უბრუნებს. მართალია, იაპონელს დედა-მიწიდგან მცირედი სარგებლობა აქვს, მაგრამ ეს სარგებლობა ათი ათას წლობით ვასტანს.

ასეთივე განსხვავებაა ევროპისა და აზიის კულტურის შორის. ევროპის პროგრესი იმ გვარია, რომ მალე უნდა მოეღოს ბოლო. ეს კულტურა სათუთად გაზდილს ყვავილსა ჰგავს, — ძლიერ მალე იშლება და მალევე ჭკნება. ეს კულტურა თხოულობს ადამიანის მთელს ნიქს, ძალ-ღონეს, დაუსრულებელსა და მედგარს შრომას. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს კულტურა სჭამს ხალხსა. ევროპის კულტურა გაუმადღარია... აბა დაჰხედეთ, რას უშვრებიან ევროპის კულტურ-ტრეგერები თავიანთ ახალ შენებს. მიაქვთ ეს კულტურა, თავზედ ახვევენ ახალს ხალხს, სწოვენ მათს სისხლს, უღვიძებენ ათას გვარ ახალს მოთხოვნილებას და ბოლოს ჰლუპავენ. დიად, ევროპის ცივილიზაცია ყოველთვის ჰლუპავდა იმ ერს, რომლისთვისაც მიუნიჭებია თავისი სიკეთე.

დააკვირდით ევროპიელის ცხოვრებას და დარწმუნდებით, რომ მას არა აქვს არავითარი აზრი, არავითარი შინაარსი. ეს ცხოვრება წარმოადგენს ბედნიერების დაუსრულებელს ძებნას, ტანჯვა-ვაებას, უკმაყოფილებას. «მე ადამიანი ვარ და ამიტომ მოსვენება არ შემეფერისო», — ამბობს ფაუსტი. ჩვენ მართლა დარწმუნებულნი ვართ, ვითომ მოუსვენრობა, უკმაყოფილება და ლოდინი უკეთესობისა ადამიანის თვისება იყოს. ეს თვისება მხოლოდ ევროპის ცივილიზაციამ მიანიჭა კაცსა...

აბა ეხლა გადაჭედეთ აღმოსავლეთს და ჰნახავთ, რა მყუდროება, მშვიდობიანობა ჰსუფევს იქა. დააცქერდით ეგვიპტეს ქანდაკებას, თითოეული მათგანი წარმოადგენს საიდუმლოების სიმბოლოს. აქ ადამიანის სიცოცხლის საიდუმლოება თვით ადამიანშივე დამარხული, ადამიანის მოთხოვნილება შეზღუდულია და ამიტომ აღმოსავლეთის კაცი უფრო კმაყოფილია და ბედნიერია ევროპიელზედ. აქ ადამიანს მეტი დრო აქვს. ამ დროს ახმარებს იგი ან სამუდამო ძველის აგებას, ან ფიქრს, მოსვენებას. ევროპიელს დრო არა აქვს არც სამუდამო რასმეზედ იფიქროს, დრო არა აქვს ფიქრისა და მოსვენებისათვის. ამიტომ ვამბობთ, რომ აზია წარმოადგენს მოსვენებას, მშვიდობიანობას და ევროპა-კი—დაუსრულებელს ჯაფას, სირბილს, ბედნიერების უკან დევნას. დიდ ხანს არ აქცევდა ევროპიელი თვისს ყურადღებას აზიასა, არა სწამდა მისი კულტურა, ცივილიზაცია და ამ ცივილიზაციას ძილს ეძახდა. მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, ვინ არა ნატრობს ამ ძილსა, მოსვენებას, მყუდროებას?

ნუ ჩქარობ. დამშვიდი. დაუფიქრდი შენს თავს, შენს არსებობას. აი რას გვეუბნება აღმოსავლეთის კულტურა, რომელიც ერს დიდს, ხანგრძლივს სიცოცხლესა ჰპირდება. მართლაც აღმოსავლეთი აგერ ხუთი ათასი წელიწადია, რაც სიცოცხლობს. ევროპიელი-კი რა დიდი ხანია, რაც ბარბაროსობას დაჰშორდნენ და უკვე გადაგვარებაზედ ვლავარაკობთ. სულ სამ საუკუნის განმავლობაში გაბრწყინდა ევროპის ცივილიზაცია და უკვე ჩაქრობას ჰლოამობს...

ამ ჟამად მოუსვენარი დასავლეთი დაუახ-

ლოვდა მშვიდობიანსა და მყუდრო აღმოსავლეთს, გააპო მისი გალავანი და შეაქვს თვისი ცივილიზაცია. რითი გათავდება ეს საქმე? რომელი დასძლევს? აღმოსავლეთის მყუდროება შთანთქამს ევროპის მოუსვენარს სურვილს, თუ ეს სურვილი დასძლევს მყუდროების სიყვარულსა და აიყოლიებს მთელს აღმოსავლეთს?

## ახალი ამბები და შენიშვნები.

საეკლესიო-სამრევლო სკოლებში მიღებული და მოწონებული დეკ. სმირნოვის საღმთო სჯულის სასწავლო რუსულ-ქართული წიგნის მესამე გამოცემა, თარგმნილი რუსულიდან დეკ. დავით ლამბაშიძის მიერ, უკვე დაურვიდა გასასყიდლათ ყველა წიგნების მაღაზიებს. ფასი თითოეული ცალისა უდით ათი შაურია და უყდოთ—40 კ. ვინც თვითონ გამოცემლისაგან გამოიწერს, მას თითო ცალი უდით მიეცემა 40 კ. და უყდოთ 30 კ. ღარიბ სამრევლო სკოლებს ნაღდ ფულზე ავტორისაგან დაეთმობათ უდით 35 კ. და უყდოთ—30 კ.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ მხოლოდ ეს წიგნია მიღებული საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სახელმძღვანელო წიგნად. ამ წიგნის ქართულ ენაზე მთარგმნელო და გამოცემელო ყოველივე საშუალება იხმარა, რომ გამოცემა იაფად დამჯდარიყო. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს წიგნი რუსეთში მარტო რუსულს ენაზე 200,000 ათასობით იბეჭდება უსურათოთ და თითო ცალი ღირს 20 კ. ეს რუსულ-ქართული გამოცემა კი იბეჭდება 4-5 ათასამდე, შემკულია მშვენიერი სურათებით და რუსულს ენაზე ხმის ასამაღლებელი ნიშნებით. მაშასადამე თითოეული ცალი რუსულ გამოცემასთან შედარებით უფრო იაფად ღირს.

\* \* \*

ამას წინნეთ სამრევლო სკოლებისათვის გამოცხადებიათ ხსენებული სკოლების მაზრის მეთვალყურეთ, რომ უწმ. სინოდისაგან ნება-დართულია სამრევლო სკოლებში საშველ წიგნად მ. ნ. ყუბა-



ნეიშვილის მიერ შედგენილი «საღმრთო ისტორიის» წიგნით. ზოგ მასწავლებლებს კი ეს წიგნი საღმრთო სჯულის სახელმძღვანელო და სასწავლო წიგნად მიუღიათ შეცდომით. საჭიროა, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ეპარქიის სამასწავლებლო რჩევამ და აუხსნას მასწავლებლებს მათი შეცდომა.

\* \*

ჩვენ მივიღეთ ახალი თხზულება-პოემა აკაკისა ნათელა (ძველებური ამბავი), გამოცემული მ. ლალიძისაგან. წიგნი დაბეჭდილია სუფთად, შეიცავს 72 გვერდს და ღირს ერთი აბაზი.

\* \*

ჩვენმა რედაქციამ მიიღო ბ. ბაგრატი დოლიძის მიერ შემოკლებულათ ნათარგმნი სერ-დჟონ ლეზბოკის წაგნებას ქება. წიგნი სამი კაპეიკი ღირს.

\* \*

ყარსის ოლქის მართლ-მადიდებელ მცხოვრებთ ამას წინეთ უთხოვიათ უწმიდესი სინოდისათვის, რომ ქ. ყარსში დაარსონ სასულიერო მართლ-მადიდებელი ოთხ-კლასიანი სასწავლებელი. უწმიდეს სინოდთან არსებულ სამოსწავლო კომიტეტს დაუვალეზია მათი მალალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსისათვის ხსენებული სასწავლებლის სასწავლო საგნების პროგრამის შედგენა ეპარქიალური და ადგილობითი მხარის მოთხოვნილებათა თანახმად და აგრეთვე ხსენებული სასწავლებლის მოსამსახურეთა შტატის შედგენა.

მათ მალალ ყოვლად უსამღვდელოესობას უკვე შეუმუშავებია ხსენებული პროექტი და კიდევ წარუდგენია უწმ. სინოდში. ამ პროექტით მიღებულია ყარსის სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლისათვის იგივე პროგრამა, როგორც არსებობს დღეს რუსეთის ყველა სასულიერო სასწავლებლებში. მაგრამ ვინაიდან ყარსის ოლქი დასახლებულია სხვა-და-სხვა თემით, რომელთაგან უმეტესობას შეადგენენ ბერძნები, რომელნიც ლაპარაკობენ ახალ ბერძნულ ენაზე, და ვინაიდან ამ სასწავლებელში კურს დამთავრებულნი უმეტესად უნდა იქმნენ მართლ-მადიდებელი ეკკლესიების მოსამსახურენი ბერძნების სამრევლოებში, სადაც ღვთის-მსახურება

სრულდება ძველს ბერძნულს ენაზე, ამიტომ საქართველოს ექსარხოსი ითხოვს, რომ ხსენებული სასულიერო სასწავლებელი იმავე საფუძველზე იქნეს დაარსებული, როგორც საქართველოს სხვა სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლები. ამის გამო საქართველოს ექსარხოს საჭიროდ უცვნია შემოღებულ იქმნეს ყარსის სასწავლებელში სხვა სავალდებულო საგანთა შორის ახალი ბერძნული ენის სწავლება ბერძენთათვის და ამ საგნის ნიშანს ისეთივე მნიშვნელობა უნდა მიეცეს, როგორც სხვა სავალდებულო საგნებისას. ამ ახალი ბერძნული ენიდან კვირაში თორმეტი გაკვეთილი უნდა იქნეს.

ვინაიდან დღეს ყველგან იხსნება საეკკლესიო სამრევლო ერთ-კლასიანი და ორ-კლასიანი სკოლები, ამიტომ ყარსის სასულიერო სასწავლებელთან მოსამზადებელი კლასები არ იქნება. და ეს ძლიერ შეამცირებს სასწავლებლის ხარჯს. საეკკლესიო-სამრევლო ერთ-კლასიან სასწავლებელში სწავლა დამთავრებულ ყმაწვილებს მიიღებენ ყარსის სასულიერო სასწავლებლის პირველ კლასში, ხოლო საეკკლესიო სამრევლო ორ-კლასიან სკოლაში სწავლა დამთავრებულთ — მესამე კლასში. («კავკაზი»)

\* \*

როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, ქუთაისის სასულიერო ოთხკლასიან სასწავლებელში განმეორებითი და მისაღები ეკზამენები აგვისტოს 25 რიცხვიდან დაიწყება.

\* \*

ჩვენ მივიღეთ პატარა წიგნაკი: „პოეტის ანდერძი“, პოემა გოჩა-ჯიხაიშვილისა, რომელიც შეიცავს 16 გვერდს და ღირს 5 კ.

\* \*

ქუთაისის სას. სასწავლებელს ამავე სასწავლებლის ზედამხედველის მეცადინეობით ნშვენიერი ქვიპკირის გალავანი შემოავლეს და ეზოც შვენიერად მოუწყვიათ.

\* \*



ქუთაისის საზაფხულო პედაგოგიური კურსები, როგორც ამბობენ, ათ მარიაშობის თვის რიცხვამდის გაგრძელდება.

\* \*

შორაპნის მახრამში ამისთანა მშვენიერი სიმიდის და პურის მოსავალი, ვგონებ, არავის არ ახსოვდეს. ზოგიერთ ადგილას ვენახები დასეტყვა, თორემ ღვინის მოსავალიც ძლიერ კარგი იქნებოდა. ამდენ ხილის მოსავალსაც არავენ შესწრებია. ხილის ფასი სათქმელი არ არის, ასე იაფია. ჩვენში ხილის გახმობის არა გაეგებათ რა და ამიტომ ამდენი ხილი ტყუვილა ღებება. ორიოდ პირი ეხლა სწავლობს საფრანგეთში ხილის გახმობას და იმედია შემდეგში უფრო ისარგებლებენ ხილით, თუ საზოგადოებაში გავრცელდა სწავლა ხილის გახმობისა.

\* \*

მოლითის და ხაშურის რკინის სადგურებს შორის ორი რკინის გზის სადგურია წითისა და ბარბარისა. მაგრამ ამ სადგურებიდან მიმავალ და მომავალ მგზავრებს ბილეთებს არ აძლევენ. მოგზაური, წითაში მიმავალი იქნება თუ ბარბარინოში, უთუოდ ბილეთი უნდა იყიდოს მოლითიდან ხაშურამდის და ბარგის გადასატან გადმოსატანიც ასე უნდა იხადოს. ამ სადგურების ახლოს გზატკეცილი სრულებით არ არის და ხალხი ნამეტან გაჭირებაშია ჩავარდნილი. რიგია, რომ რკინის გზის მმართველობამ ყურადღება მიაქციოს ამას.

\* \*

ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ იმერეთის ეპარქიის 57 უფრო ღარიბ კრებულს უკვე დანიშნენა ჯამაგირი, მღვდელს—300 მ. ხოლო მედავითნეს—100 მ. სულ 17,000 მანეთი. გურია-სამეგრელოს ეპარქიაში დაუნიშნავსთ სამღვდელოებისათვის 27,000 მანეთი. ეს ფულები ხსენებული ეპარქიის უღარიბეს კრებულთ თვითონ საქართველო იმერეთის სინოდალნი კანტორამ უნდა გაუნაწილოს.

\* \*

ხუროთ-მოძღვარმა ბ. კლაჩანოვმა ვახანის ეკლესია შეამოწმა და საჭიროთ იცნო დაკეტვა, რადგან საშიშრად გამსკდარა კედლები. საჭიროა ეკლესიის შენობები ხუროთმოძღვრების ზედამხედველობით შენდებოდეს, რომ მრევლი აცდეს ზარალს...



# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილცნებებაზე

იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა.  
მათ. 6, 20.

ძლიერ მცირე ხნის შემდეგ შენ აქ აღარ იქნები. ამიტომ დაუკვირდი შენს მდგომარეობას. კაცი დღეს ცოცხალია, ხოლო ხვალ აღარ არის. და როცა თვალთ ველარ ვხედავთ კაცს, იგი მალე გვავიწყდება. უბედურია ის კაცი, რომელიც მარტო ამა ქვეყნიურ საქმეებზე ფიქრობს და მომავალზე კი არ ზრუნავს! ყოველი შენი საქმე და განზრახვანი ისე უნდა დააყენო, რომ, თითქო, დღესვე კვდებოდე. შენი სინდისი რომ წმიდა იყოს, მაშინ ძლიერ ნაკლებად შეგეშინდებოდა სიკვდილის. უკეთესია მოერიდო ცოდვას, ვინემ სიკვდილის გეშინოდეს. თუ შენ მზათ არა ხარ დღეს, ხვალ როგორ მოემზადები? საიდან უწყი, რომ შენ ხვალ ცოცხალი იქნები?

რა სასარგებლოა ჩვენთვის დიდხანს ცხოვრება, როცა ასე მცირედ ვფიქრობთ ჩვენი თავის გასწორებაზე? ხანგრძლივი ცხოვრების დროს კი არ ვსწორდებით, უფრო ბევრ ცოდვებს ჩავდივართ. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენ ერთი დღე მაინც ვიცხოვროთ კეთილად. ზოგიერთები ანგარიშობენ, თუ რამდენი წელიწადია, რაც ისინი ღმერთს ემსახურებიან, მაგრამ იმას კი აღარ ანგარიშობენ, თუ ამდენი ხნის განმავლობაში რა კეთილი საქმე გააკეთეს. თუ საშიშოა სიკვდილი, შეიძლება უფრო საშიშო იქნეს დიდხანს ცხოვრებაც. ბედნიერია ის კაცი, რომელსაც ყოველ წამს თვალწინ უდგია სიკვდილი და ყოველ დღე ზოგლის მას. თუ შენ გინახავს მომავლადვი კაცი, წარმოიდგინე, რომ შენც იმავე გზით გაემგზავრები.

დილით უნდა იფიქრო, რომ სალამომდე ვერ იცოცხლებ; სალამოთ კი იფიქრე, რომ დილამდე ვერ გააწევ. ამიტომ ყოველთვის მზად იყავი და ისე იცხოვრე, რომ სიკვდილმა უტბად არ მოგასწროს. მრავალნი უცებ კვდებიან: „რამეთუ არ უწყით ჟამი იგი, როცა ძე კაცისა მოვალს“. როცა ეს უკანასკნელი ჟამი დადგება, მაშინ სულ სხვა ნაირად იფიქრებ შენ წარსულის ცხოვრებაზე; მაშინ ბევრს იწუხებ, მაგრამ გვიანდა იქნება...

რამდენად ბედნიერი და კეთილ გონიერი ის, რომელიც მეცადინობს, რომ ყოველთვის მზად იყოს უშფოთველად მიეგებოს სიკვდილს. ჩვენ მუდამ უნდა ვცდილობდეთ, რომ, რაც შეიძლება, ბევრი კეთილი საქმეები მოვიქმედოთ, უმეტესად ვიზრუნოთ მომავალზე, მუდამ სინანულში ვატაროთ დრო, ყოველივე უბედურება და დევნა დავითმინოთ — იესო ქრისტეს სიყვარულობისა გამო. თუ ასე ვიცხოვრებთ, მაშინ სიკვდილი სრულებით საშიშო არ იქნება ჩვენთვის. შენ შეგიძლია ბევრი კეთილი საქმეები ჩაიდინო და ტანმრთელადაც იქნე; მაგრამ ავადმყოფობაში რაღას იზამ? ძლიერ მცირენი არიან ისეთები, რომელნიც ავადმყოფობის დროს სწორდებოდნენ თავიანთი ცოდვებისგან.

იმედი ნუ გაქვს ნურც შენი მეგობრების და ნურც მოყვასთა და შენი ცხოვრების საქმეს შორის ნუ გადადებ. იმიტომ რომ ხალხი უფრო მალე დაგივიწყებს, ვინემ შენ ფიქრობ. უკეთესია ეხლავე დროით მოემზადო და რამოდენიმე კეთილი საქმე მოიქმედო, ვინემ სხვების შემწეობის იმედი გექნეს. თუ შენ ეხლა არ ზრუნავ შენს თავზე, შემდეგში ვინ იზრუნებს შენთვის? დღეს ძლიერ ძვირფასი დროა; დღეს არის დრო ცხოვრებისა; დღეს ძლიერ მოხერხებული დროა. მაგრამ შენ არ ცდილობ, რომ ეს დრო სასარგებლოთ მოიხმარო, არ ეძიებ იცხოვრო აწმყოში ისე, რომ მომავალში საუკუნო ცხოვრება დაიმკვიდრო! მოვა დრო, როცა მოინდომებ, რომ ერთი დღე, ერთი საათი კიდევ გექნეს ხელად, რომ შენი ცოდვები მოინანო, მაგრამ არ ვიცი, მოგეცემა ეს დრო თუ არა.

თუ შენ ყოველთვის თვალ-წინ გედგება სიკვდილი, ეს გიხსნის შენ განსაცდელისაგან. ეცადე, ისე იცხოვრო, რომ სიკვდილის ჟამს უფრო იხარებდე, ვინემ გეზინოდეს. ეხლავე ისწავლე მოკვდე

ქვეყნისათვის, რომ მერე იცხოვრო ქრისტესთან. ეხლავე შეიძულე ყოველივე, რომ მაშინ თავისუფლად წახვიდე ქრისტესთან. ეხლავე დასაჯე შენი სხეული სინანულით, რომ მაშინ გაქნდეს მტკიცე სარწმუნოება.

უგნურო! როგორ შეგიძლია იფიქრო, რომ დიდხანს იცოცხლებ, როცა ერთი დღეც არ არის შენს ხელათ? რამდენი მოსტყუვდა ასეთი ფიქრით და უეცრად გაემგზავრნენ ამა ქვეყნიდან! რამდენ გზით გსმენია თვითონ შენ: ესა და ეს მოკლეს ხმლით, ესა და ეს დაიხრჩო, ესა და ეს ჩამოვარდა და თავი გაიტება, ესა და ეს სუფრაზე ჯდომის ანუ თამაშობის დროს გადაიცვალაო. ერთი დაიღუპა ცეცხლისაგან, მეორე ხმლისაგან, მესამე გადამდები სენისაგან, ლ ზოგი ავაზაკთაგან. ამ სახით სიკვდილი არის დასასრული ყოველივესი და კაცის ცხოვრება მზგავსია აჩრდილისა.

ვინ მოგიგონებს შენ შენი სიკვდილის შემდეგ, ვინ შეევედრება ღმერთს შენთვის? ეხლავე, ეხლავე დაუჩქარე, ჩემო საყვარელო, რომ ყოველივე მოიმოქმედო, რაც კი შეგიძლია, ვინაიდან შენ არ უწყი არც ჟამი შენი სიკვდილისა და არც მისი შედეგები. სანამ გაქვს დრო, შეიკრიბე საუნჯენი. მხოლოდ შენს ცხოვრებაზე იფიქრე, მხოლოდ საღმრთო საგნებზე იზრუნე. ეხლავე მოიმზადე შენთვის მეგობრები წმიდანების პატივის ცემით და მათი საქმეების მიბაძვით, და სიკვდილს შემდეგ მიგიღებენ შენ საუკუნო სასუფეველში.

შენი თავი ამ ქვეყანაზე მიგაჩნდეს მოგზაურად. აღიმაღლე გული შენი ღვთისადმი: ვინაიდან შენ აქ არა გაქვს სამუდამო თავ შესაფარი. ღვთისადმი აღავლინე ყოველ დღე შენი ვედრება, რომ სიკვდილს შემდეგ შენი სული ღირს იქნეს აღვიდეს ღვთისადმი.





# საეჭვო ვითხევების განმარტება.

**კითხვა.** გვირგვინის კურთხევის შემდეგ ქალს დაე-  
ბადა შვილი ორ თვეზე, როგორ უნდა დაიწე-  
როს დაბადებული, კანონიერად თუ უკანონოდ?

**მაგება** კანონიერად უნდა დაიწეროს ყველა ბავშვი,  
დაბადებული კანონიერ მეუღლეობის დროს,  
თუ ეს ქორწინება გაყრილი არ არის სასული-  
ერო სამსახულოსაგან. კანონიერად უნდა დაიწე-  
როს ის ბავშვიც, რომელიც დაიბადა არა თუ ორი  
თვის არამედ სამი დღის შემდეგ ქორწინე-  
ბისა.

ასე ადრე დაბადებულთა კანონიერად და უკა-  
ნონოდ დაბადებულობაზე საჩივრის განცხადე-  
ბის უფლება აქვსთ მინიჭებული მარტო მშობ-  
ლებს (იხილე მგათე ტომის პირველი ნაწ. მუხ-  
ლი 127 და აგრეთვე უქაზი უწ. სინოდისა 14  
ოკტომბრიდან 8 ნოემბრიდან 1887 წლისა.  
უკანონოდ უნდა დაიწეროს ის ბავშვები, რომ-  
ელნიც დაბადებულნი არიან გაუთხოვარ ქალე-  
ბიდან ანუ იმისთანა პირთაგან დაბადებულნი,  
რომელთა ქორწინება გაყრილია სასულიერო  
სამსჯავროსაგან. ამ გამომანგარიშებით სჩანს, რომ  
ყურადღება უნდა იყოს მიქცეული ქალის მდგო-  
მარეობაზე არა ბავშვის მონათელის დროს,  
არამედ დაბადების დროს. თუ ქალს შვილი  
დაებადა გვირგვინის კურთხევამდის, მონათელის  
დროს გვირგვინიც რომ ქონდეს ნაკურთხი,  
მანც არ შეიძლება მისი დაწერა კანონიერად.

**კითხვა.** რიგია თუ არა, რომ «რომელი ქრა-  
ბინთა»-ს გალობის დროს, მლოცვედმა  
დაიხოქოს და ან საზოგადოდ მუხლი მო-  
ყაროს?

**მაგება.** საეკლესიო წეს-რიგი მდგდელ მონა-  
შონთა, რომელნიც სიმტკიცით ასრულებ-  
ენ საეკლესიო ტიბიკონს, არ გვიჩვენებს,  
რომ დაიხოქება და ან მუხლის მოყრა ამ  
დროს საჭირო იყოს. თუმცა კონჯაჰში  
ნაჩვენებია, რომ «რომელი ქერაბინთა»-ს  
საგალობლის დროს «თაყვანსა სცემენო»,

მაგრამ ტიბიკონის განმარტებით ცხადაა  
სჩანს, რომ სიტყვაში „თაყვანსა სცემენო“  
არ იგულისხმება არც მუხლის მოყრა და  
არც დაიხოქება. საგალობლებიდან: «რო-  
მელი ქერაბინთა» და «სდუმდეს ყოველი  
სულიერი“, რომელნიც ერთი მცარის შემ-  
დეგ იგალობებიან და რომელნიც უჩვენებენ,  
თუ როგორ მდგომარეობაში უნდა იყვნენ  
მლოცველები „დიდი შესვლის დროს“,  
არა ჩანს, რომ დვთის-მსახურების ამ უმთავ-  
რესი ნაწილის შესრულების დროს საჭირო  
იყოს მცტანია ანუ დაიხოქება. სიტყვებში  
«და სდევინ კრძალულებით და ძრწოლით»,  
სრულებით ნათქვამი არ არის «და დავვარ-  
დეს», «მოიყაროს რა მუხლი» ანუ მზგავსი  
რამე, რომელიც უჩვენებდეს მცტანიის ანუ  
მუხლთ მოდრეკას; წინააღმდეგ ამავ საგა-  
ლობელში ცოტა ქვემოთ ნათქვამია: მის  
წინ ვლენან კრება ანგელოზთა-წყობით და  
დიდებით. («ვლენან») მ მასადამე არა მუხ-  
ლის თავებით; ვინაიდან ნათქვამია „ვლენ-  
ნან“ და «ვლენან დიდებით»-ო; ჩვენ, რომ-  
ელიც ს:იდუმლოდ წარმოვადგენთ ეხლა  
ქერაბინთა („რომელი ქერაბინთა საიდუმ-  
ლოდ ვემსგავსენით») მდგომარეობითაც  
უნდა მივემზგავსოთ ანგელოზთა კრებას,  
რათა მივეგებოთ ყოველთა მეუფესა, რომ-  
ელსაც უხილავად თან ახლავრან ანგელო-  
სები, შემოსილნი საჭურველითა. ცხადია,  
რომ მუხლ მოდრეკილნი ჩვენ ვერ გამოვ-  
ხატავთ ქერაბინთა და ვერ მივემზგავსებით  
ამ შემთხვევაში ანგელოზებს, რომელნიც  
სრული შეიარაღებულნი თან ახლავრან  
ყოველთა მეუფესა. გარდა ამისა ზემო ად-  
ნიშნულ დროს მუხლთ მოდრეკა პირ-და-  
პირ დაშლილია. დეკ. დ. სოკოლოვის მიერ  
გამოცემულ წიგნში «სწავლა მართლმადი-  
ლებელი ეკლესიისა დვთის მსახურებასა ზე-  
და», რომელიც მოწონებულია უწმ. სინოდის-  
საგან, პირ-და-პირ ნათქვამია, რომ ქრის-  
ტიანენი კრძალულებით უნდა მიეგებნენ, რომ-  
ცა წმ. ნაწილებით შესვლა იქნება და მუხლი  
არ მოიყარონ, რომ უარწმუნოთა არა თქვან,  
რომ ქრისტიანები თაყვანსა სცემენ ჰურსა



და ღვინოსა, როგორც ღმერთსა (გვერ. 59). დეკ. ნიკოლსკის წიგნში, რომელიც გამოცემულია სეკულარული კანონის შესახებ, ნაჩვენებია აგრეთვე, რომ წმ. იოანე ოქროპირი მათ, ვინც «დიდი შესვლის დროს» მუხლს მოიდრეკდა, კერპთთაყვანის მცემელთ უწოდებდა. ტიბიკონი მეექვსე მსოფლიო კრების 90 მუხლის ძალით უგრძობლად მუხლთ-მოდრეკას კვირა და თორმეტ საუფლო დღესასწაულ დღეებში; მაშასადამე ამ დღეებში არას გზით არ შეიძლება მუხლის მოყრა, იმ დროს მაინც, როცა ღვინო და პური შეიცვლება ხორცად და სისხლად იესო ქრისტესა. ჩემის ფიქრით ამ დრომდე არც მღვდლებმა უნდა მოიყარონ მუხლი საკურთხეველში; წინააღმდეგ შემთხვევაში მათი საქციელი იქნება ურიგო და ამ ურიგო მათ საქციელს მიბაძვენ მლოცველებიც, რომლებიც უამისოთაც უწესოთ იქცევიან ტაძარში. როგორ უნდა მოიქცეს კეთილ მორწმუნე მლოცველი «რომელი ქერაბინთა»-ს გალობის დროს? დიდის უკრადღებით უნდა წაიკითხოს სინანულის ფსალმუნი:— «მიწუაღე მე ღმერთო»; სამეუფო სახლუეულობის მოხსენების დროს უნდა იდგეს კრძალუელებით თავ მოხრილი და მოხსენების გამთავს სთქვას: «მომხსენე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შ ნითა». ასეთავე დარიგება მოთავსებული ღვთის-მსახურების, ღოცვების და საგალობელთა კრებულში ღვთის-მსახურების დროს მართლ-მადიდებელ ეკლესიაში, რომელიც შედგენილი და გამოცემულია ა. ნ. უშაკოვის მიერ (გამ. მეორე, მოსკოვი 1896 წ. გვერ. 11). და ეს დარიგება ეთანხმება ნამდვილ იმ წესს, რომელიც მოხსენებულა იმ ღოცვაში, რომელსაც ამაღებს მღვდელი «რომელი ქერაბინთა»-ს საგალობლის დროს: „შენდამი მოვად, ვიხრი თავსა ჩემსა და გვიდრეკბი.

**კითხვა.** საჭიროა თუ არა მღვდელ-მთავრის ნება რთვა მათთვის, რომელნიც მესამე ქორწინებას შეუდგებიან?

**მაგება.** კანონთა კრების მე-10 ტომში ჩ.მოთვლილია ის შემთხვევები, როცა ქორწინების საქმეებისა გამო საჭიროა მღვდელ-მთავრის დაკითხვა. მაგრამ ამ ტომში მესამედ დაქორწინების მსურველთა შესახებ არაფერია ნათქვამი. ისინიც იმავე მე-10 ტომის 25 მუხლს ექვემდებარებიან, რომლის ძალით დაქორწინების მსურველი უნდა მიიქცეს თავისი მრევლის მღვდლისადმი და მიიღოს საჭირო მოწმობა. აგრეთვე მესამედ დაქორწინების შემთხვევა მღვდელთათვის არ შეადგენს ისეთ საქმეს, რომელთა გამო იგი სამოქალაქო კანონის ძალით (იხ. მუხ. 23, 29, 31 10 ტომისა) ვალდებული იყოს ნებართვა გამოითხოვოს ეპარქიის მღვდელ-მთავრისაგან. მაგრამ ვინაიდან ეკლესიური ჩვეულებიდან მესამედ დაქორწინებულნი მიეცემათ რამე საზოგადო სასჯელს, რომლის დადების ნება არა აქვს მღვდელს და რომელიც დამოკიდებულია მღვდელ-მთავარზე, ამიტომ ითხოვება კიდევ, რომ მესამედ დაქორწინების მსურველნი მიიქცნენ ადგილობრივი მღვდელ-მთავრისადმი (სოფლის მწყემსთათვის სახელმძღვანელო).

**კითხვა.** რა უნდა უყოთ იმ ნივთებს, რომელიც საიდუმლო ზეთის კურთხევის შემდეგ დარჩებიან?

**მაგება.** ზეთის კურთხევის შემდეგ რჩებიან მოუხმარებლად შექდევი ნივთები: 1) სანთლები, 2) პურის მარცვლები. 3) ნაკურთხი ზეთის საცხები ჩხირი და 4) ნაკურთხი ზეთი. ამ დარჩენულ ნივთებს, როცა ზეთის კურთხევა სრულდება სახლში, არ იციან როგორ მოეპურან მორწმუნენა და ამიტომ ეკითხებიან ხოლმე მღვდელს, თუ რა უყოთ ამ ნივთებს. რაზე მოიხმარონ ისინი? წმ. ზეთი საიდუმლოში არის იარაღი, რომლის საშუალებით ვადმოდის ღვთის მადლი იმ კაცზე, რომელსაც აცხებდენ ზეთს, სხვა საკნებს კი იმდენად დიდი მნიშვნელობა არა აქვსთ, მაგრამ ურიგოთ მაინც არ უნდა მოვეპურათ, რადგან ხმარების შემდეგაც



მათ თავისი დირსება და მნიშვნელობა აქვსთ. ძველი ჩვეულებისა მებრ თითოეულს ამ ნივთთაგანს უნდა მოვუპურათ ასე: დანარჩენი სანთლები უნდა გავავზავნოთ ტაძარში, რომ დვთის მსახურების დროს აანთონ წმ. ტრაპეზე და სამსხვერპლოზე. პურის მარცვლები, რომელიც ზეთის კურთხევის დროს იხმარება, უნდა დაიწვას საცეცხლეურში საგმევლის ანთების დროს. ზოგიერთ ადგილას არის ამაოდ მორწმუნე ჩვეულება, რომლის ძალით ზეთის კურთხევის შესრულებისათანავე სწვენ ნაკურთხი ზეთის საცხებ ჩხირს, რომ კვამლის მიმდინარეობით შეიტყონ მორჩება სწეული თუ არა. მაგრამ ეს დიდი ცოდვა არის. სწენებული ჩხირის დაწვა დვთის მსახურების შესრულებისვე დროს, არსად ნაჩვენები არ არის. ეს ჩხირი ქაღალდითვე, რომელიც გაქდენილია წმ. ზეთით, უნდა დასწენ, როგორც ხორბლიც მღვდლებმა ეგვიპტისაში მაჟალზე. რაც შეეხება ნაჭრენ წმ. ზეთს, საიდუმლოს შესრულების შემდეგ ისინი უნდა მოსპონ დიდის პატივით და კრძალულებით, როგორც კი შემვენის წმ. საგნებს. მაგრამ არ შეიძლება მათი ჩასხმა საცეცხლეურში ან კანდეში, ვინაიდან რიგი არ არის, რომ ნაკურთხი ზეთი შეურიოთ უკურთხში; არც მათი მდინარეში ჩაქცევა შეიძლება; ეს ნარჩენი ზეთი მღვდლებმა შეტრე მოგიღას კონდაკის ჩვენებით უნდა დასწვან საეგვიპტისო მაჟალზე. ამ ნარჩენი ზეთის დასხმა არ შეიძლება მიცვალებულებზე წესის აგების ვათავების დროს, როგორც ამას ჩადიან ზოგან, ვინაიდან ეს არ შეფერის საიდუმლოს. ზეთს აკურთხებენ ხოლმე ცოცხლების საცხებად, რომ განიკურნონ სწეულებსაგან, და მისატევებელად ცოადვათ. საეგვიპტისო წესდებულებით აკრძალულია ზეთის კურთხევა მიცვალებულთა საცხებად. ვინცობაა თვითონ ზეთს კურთხევს დროს გადაიცვადა სწეული, რომლისათვის სრულდება და ზეთს კურთხევა, ამ ზეთით არ შეიძლება მისი სწეულს ცხება. ამ საზოგადო შემთხვევებისგან ცხადად ჩანს, რომ

ამ ნაკურთხი ზეთის ხმარება არ შეიძლება მიცვალებულებზე. ჩვენს კონდაკში პირდაპირ არის ნათქვამი: «მიცვალებულის სწეული ჩასვენებულ უნდა იქმნეს კუბოში. მღვდელი ჯვარის სახეთ აურის შემოდამ მიწას და შემდეგ ასხამს ზემოდას ზეთს— და მერე კუბოს ახურვენ თავს (სოფ. მწყემსთა სახელმძღვანელო).

მიიღება ხელის-მოწერა 1897 წლისათვის ორ კვირულ გამოცემათა მართულს

# „მწყემს“-ზე

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ქურნალის ფასი:

- 12 თვით «მწყემსი» 3 მ. | 6 თვით «მწყემსი» 2 მ.
- „რუსული „ 3 მ. — „რუსული „ 2»
- „ორივე გამოცემა ნ» — „ორივე გამოცემა 3»

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ეგვიპტისაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მალაზიაში, ბ. შიო ქუტუკაშვილთან. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; საჩხერეში—ყარასან ჩხეიძესთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხახუტოვთან. ახალსენაში—სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ სპირდონ ან. მატარაძესთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ეგვიპტისაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ზარემეცხოვრებათა ქურნალის დაბარება შეუძლიან ამ აღრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».



დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და სა-  
კუთარი ჟურნალის გამოცემის ნება-რთვა მი-  
ვიღე და ამ 1897 წლის ზირველ ენკენისთვი-  
დგან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

# “ კ რ ე ბ უ ლ ი ”

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ  
დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხუხულება-  
თაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადსაყვადი, ანუ ნა-  
ხული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვ-  
რებისა შესახები. — მივა და შიგ ჩართული  
იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ  
ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია, — სა-  
ჭირო მენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში  
ზეპირ-გადმონაცემი, სალხური ზოესია, ე. ი.  
შაირები, სღაპრები, ძველი ამბები, ანდახები,  
არაკები, გამოცანები, ძელოცვები და სხვანი

რადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნე-  
ლობას ვაძლევთ სხვა ეველაფერზე, ამისათვის  
ეველასა ვსთხოვთ, რომ შემწეობა აღმოგვი-  
ჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ სალხურ ზოესიაზე და მისს  
შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება  
ზირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და  
ედირება თფილისში მცხოვრებთათვის 6 მან.,  
ხოლო ქალაქ გარეთ გაცხადებით 7 მან. წე-  
ლიწადში. ნახევარი წლით-კი 4 მანეთი.

## ხელის მოწერა მიიღება:

**ტფილისში:** «წერა კითხვის გამავრც. საზო-  
გადოების» წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან  
(სათავად აზნაურო ქარვასლაში.)

**იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში:** (ლორის  
მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4 და ტფი-  
ლის ამხანაგობის «მუამავალის» მაღაზიაში.)

**კუთაისში:** ბეჟანეშვილის წიგნის მაღაზიაში  
და მიტროფანე ლალიძესთან.

**ბათუმში:** მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან,  
დოქტორ ვოლსკისთან და კ. თავართქილაძის წიგ-  
ნის მაღაზიაში.

**ზოთში:** სოფრომ მგალობლიშვილთან და  
იაკობ ფანცხავასთან.

**ოზურგეთში:** კოწია თავართქილაძესთან.

**სახხვირაში:** ყარამან ჩხეიძესთან.

**ჰიათურაში:** ირაკლი დეკანოზიშვილთან.

**ჰვირილაში:** (ზესტაფონში); დეკანოზ დავით  
ლამბაშიძესთან და ალექსანდრე არაბიძის წიგნის  
მაღაზიაში.

**წიფაში:** კირილე ხარაძესთან.

**ზუზდილში:** კნენია ანეტა დადიშქელიანთან.

**ლანჩხუთში:** „მუამავალში“. კ. თავართქილა-  
ძესთან.

**საჯილარში:** «მუამავალ შიგნითავაძის. წუ-  
ლაძესთან.

**სენაქში:** ბესარ. დავითის ძე მაღაზიაში.

**ახალ-სენაქში:** კ. თავართქილაძე-თავართქილაძესთან  
და სამ. ყიფიანთან.

**ონში:** თ. ქიხოსრო გელოვანთან.

**განჯაში:** ალექსანდრე მიქაბერიძესთან და  
სოლ. დოლიძესთან.

**ბაქოში:** გიორგი დეკანოზიშვილთან.

**ქავკაპში:** ალექსი ბეს. ჭიჭინაძესთან და ივანე  
ჩითაიშვილთან.

**სონში:** ივანე შარაშიძესთან.

**გორში:** ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილუბი-  
ძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.

**თელავში:** ბარბარე პაატას ასულ სულხანი-  
შვილთან, კნიაჟნა მარიამ ესტატეს ასულ ვახვაშვილ-  
თან და ივანე კოლელიშვილთან.

**სიღნაღში:** დ. მაჩხანელთან დებოში და თ. დ.  
ჩოლოყაშვილთან.

**ახალციხეში:** გრიგორ ბურჭულაძესთან.

**ახალქალაქში:** ილია აღხაზიშვილთან.

**საშურში:** იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულა-  
ასთან.

**მულთში:** პავლე კურცხალიასთან.

**ბრეთში:** თავ. ვანო ავალიშვილთან.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება  
აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი  
ხელ მოწერილი ბარათები.

„კრემულის“ რედაქტორი **პაპაძე**.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ლამბაშიძე**.

Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе**.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 28 июля 1897 г. ♦ Цензоръ прот. **Е. Елѣевъ**.

Тифог. редакши журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаись, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.